

გაცენებათა და ინსპექციათა

კ რ ი ბ ე ლ ი


3

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ა 5 6 0 0

თბილის 1973



F3809

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
 ამს. თ. გ. ლაშქარაშვილს

მოსსენაბითი ბარათი

ასპინის რაიონის ხახალხო განათლების განყოფილებისა და
 სკოლების მუშაობის შესახებ

ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ჯ. კიკნაძის, გაზეთ „სახალხო განათლების“ მუშავის გ. ბუთხუზის, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშავის დ. კომლაძის, ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის ხასკოლო ინსპექტორის პ. მაისურაძის, ბ. ძნელიძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტის ნ. თორაძის მონაწილეობით 1972 წლის 21-დან 29 ნოემბრამდე შეისწავლა ასპინის რაიონის ხახალხო განათლების განყოფილების და სკოლების მუშაობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ ასპინის რაიონის ხახალხო განათლების განყოფილება ძირითადად დაკომპლექტებულია სათანაობ ცენტრისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით. სპეციალობების მიხედვით მუშაკები სწორად არიან შერჩეული, მხოლოდ არ ჰყავთ ინსპექტორ-მეთოდისტთა შორის მათემატიკა-ფიზიკისა და ქიმიის პრეციალისტი.

სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სპეციალობების მიხედვით არ არიან სწორად შერჩეული. ასპინის, აწყვიტის, ტოლოშის, ნაქალაქევის საშუალო სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზედლობით მუშაობის დარღმი იტორიკოსები, ხოლო ჭრბარების საშუალო სკოლები დირექტორი და მისი მოადგილე ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებია, ხიზაბავრის საშუალო სკოლისა კი გეოგრაფიისა და ისტორიის. ასეთივე მდგომარეობაა რეაწლიან სკოლებშიც.

სამოქანი
სამოქანი

რაიონის სკოლებს აკლია ფიზიკა-მათემატიკისა, გნისა და ლიტერატურის და უცხოური ენების სპეციალურებულის სახელდობრ, აწყვიტის საშუალო სკოლას ფიზიკა-მათემატიკისა და გერმანული ენის, ნაქალაქარის საშუალო სკოლას ფიზიკის, ხინა-ბაგრის საშუალო სკოლას ფიზიკისა და რუსული ენისა და ლიტე-რატურის მასწავლებლები აკლია.

რაიონში არის 8 საშუალო, 10 რეაწლიანი და 2 დაწყებითი სკოლა. სკოლების დისლობური სწორია, არსებობს 9 სისკოლო ინტერნატი, 225 აღსაზრდელით, რომელთაგან სახელმწიფო კვე-ბაზეა—116. სისკოლო ინტერნატებში არ არის შექმნილი პირო-ბები ცხოვრებისა და სწავლებისათვის, ისინი მოთავსებულია შეუ-ფერებელ, დაქირავებულ შენობებში. კვების ორ სიზაციი არ არის მოგვარებული.

რაიონში გარამული მუშაობაა გაწიული სკოლების მატე-რიალური ბაზის განსამტკიცებლად. უკანასკნელ წლებში აშენდა ხინაბავრის საშუალო, იდუმალის, ძველის რეაწლიანი სკოლები; 7—8 საკლასო ოთახი მიუშენდა ნაქალაქარისა და ტოლოშის სა-შუალო სკოლებს. ყოველწლიურად სკოლების კაბინეტ-ლაბორა-ტორიების სასწავლო მოწყობილობის შესაძენად იხილება 4 ათასზე მეტი მანეთი.

სახალხო განათლების განყოფილება სისტემატურად ამოწმებს სკოლების მუშაობას. და შემოწმების შედეგები განსახილებულ შეაქვს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში. მიმდინარე სასწავლო წელს შესწავლილ იქნა ხინაბავრის და დამალის საშუალო, სარ-თის, თივის, რუსთავის, ოთის, მარგავის, იდუმალის რეაწლიანი და ნიჩორის დაწყებითი სკოლების მუშაობა. შემოწმების შედე-გები განხილულ იქნა რაიონაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და გამოვ-ლინებულ ნაქლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა საჭირო ღონისძიებანი.

კამგად მეშაობს მეთოდური კაბინეტი (გამგე გ. დათავშვილი). კაბინეტთან არსებობს სექციები ყველა სასწავლო დიაციპრობლინაში, რომელთაც გააჩნიათ წლიური სამეშაო გეგმა და ამ გეგმის მი-ხედვითაც წარმართავენ მთელ მუშაობას. ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასცვლასთან დაკავშირებით კაბინეტმა გადა-ამზადა 103 მასწავლებელი. კაბინეტს აქვს ნაკლიც, სუსტია რაი-ონის მასწავლებელთა მონაწილეობა რაიონულ და რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვაში, გასულ—1971—1972 სასწავლო წელს რეს-

პუბლიქურ პედაგოგიურ კითხვაში მონაწილეობა არ მიუღია არაური ერთ მასწავლებელს. მიმდინარე სასწავლო წელსაც არცერთი მასწავლებელი არ ამზადებს მოხსენებას პედაგოგიური კითხვის თვის.

შემოწმებულ სკოლაში ცალკეული სასწავლო დისკიპლინების სწავლება, შემდეგ სურათს იძლევა:

კარგად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასპინძის სამუალო სკოლის მასწავლებლები ნ. კუკავა, ს. ხაჩალიშვილი; ხიზაბავრის საშუალო სკოლის მასწავლებელი ი. ბალიაშვილი, იდუმალას 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ხ. მელიქიძე. ისინი გულმოლგინედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებს, მასალას მოსწავლისათვის გასაგებად და მისაწვდომია გადასცემენ და უზრუნველყოფენ გადაცემულის თანმიმდევრულად, დასისტემებულად და მტკიცედ შეოვისებას მოსწავლეთა მიერ. მოსწავლეთა საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერით ნამუშევრებს ასწორებენ გულდასმით, აანალიზებენ შეცდომებს და სხვა.

— დამაკმაყოფილებლად ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას ტოლოშის საშ. სკოლის მასწავლებელი ც. შველიძე, ნაქალაქევის საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. კაგილაძე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ცდილობს აიმაღლოს თავისი პროფესიული დონე; გრძნობს რა უკონტროლობას, მუშაობს ძველებურად, საფუძვლიანად არ იცნობს ახალ მეთოდებს, თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს, რის გამო მათი მოსწავლეები დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ. ისეთ მასწავლებლებს, კერძოდ, მიეკუთვნება ქ. ხრიკაძე (ასპინძის საშ. სკოლა). V კლასში მის მიერ დასმული საკონტროლო კითხვები ზერელე, არაფრისმთქმელი იყო. უცნობი სიტყვები არ განუმარტავს (თემა—დემნა შენგელაიას „მეოთხე ძმა“). მასწავლებელმა ვერ ახსნა ონაგარას მიზანი, საბჭოთა ბავშვის მისწრაფება, მისი გმირული სული და ა. შ. მასწავლებელი გაკვეთილის თემას ვერ იყენებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

ნაქალაქევის საშუალო სკოლის მასწავლებელმა კ. მაისურაძემ დაბალ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი IX კლასში. გაკვეთილი დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ მოსწავლეებმა არ იცოდნენ. ვერ გაღმოსცეს ნაწარმოების შინაარსი და ვერც მისი გარჩევა შეძლეს. მოსწავლეები თხრობისა და კითხვებზე პასუხის გაცემისას უშვებდნენ უხეშ შეცდომებს, რასაც მასწავლებელი არ ასწორებდა.



რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა აკადემიური
შემოქმედებითად მომუშავეთა რიცხვი ძალზე მცირეა. შეგვიძლია
დავასახელოთ მხოლოდ ე. ს. გოვილაძე (სპინძის საშუალო სკო-
ლა). იგი ფლობს რუსულ ენის, გულდასმით ემზადება თითოეული
გაკვეთილისათვის, მეცადინეობისას იყენებს თვალსაჩინოებას და
სწავლების აქტიურ მეთოდებს.

ამავე სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას V—VII
კლა ებში ასწავლის ე. ტ ჩიხლაძე, რომელიც ფლობს ენას, სა-
განს, მაგრამ არ იყენებს სწავლების ახალ მეთოდებს.

აღნიშნულ სკოლაში V, VI, IX და X კლასებში რუსულ
ენასა და ლიტერატურას ასწავლის ი. ვ. თოლაძე. მის გაკვეთილზე
სუფეს მუშაობის ერთფეროვნება. ერთი გაკვეთილი მეორისაგან
ამ განსხვაედება. კლასი პასურია. მოსწავლეთა პასუხები სუსტია.

მასწავლებელი გაკვეთილზე ენობრივად გაუმართავ წინადა-
დებებს წარმოთქვამდა, მაგალითად: „Михеил“, „Почти на каж-
дом году спрашиваю“, „Она переехала в Москве“, „Кроме того,
что он учился военное дело“, „Какая государство воевала,
против Советской власти?“, „Наша страна вела справедливая
война“ и т. п.

რაიონის სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავ-
ლების შდვომარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი მას-
წავლებელი არ იყენებს სწავლების აქტიურ მეთოდებს. კერძოდ,
არ სრულდება ახალი პროგნაზის ძირითადი მოთხოვნილებები. არ
ტარდება ხუთწუთიანი საუბრები, არ ეჭცევა სათანადო ყურადღება
მოსწავლეთა მიერ სიტყვების სწორად წარმოთქმას, თუმცა თვით
მასწავლებლებიც უშვებენ შეცდომებს. ნაკლები ყურადღება ეჭცევა
სალექსიკონო მუშაობას (არ არის თემატური და ალფაბეტური
ლექსიკონები), ძალიან ბევრი დრო ეთმობა მოსწავლეთა ინდივი-
დუალურ გამოკითხვას. ფრონტალური გამოკითხვის დროს იშვე-
ლიებენ ქართულ ენას.

ასეთ მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ა. მ. ხუციშვი-
ლი, ვ. ნ. საგატელიანი (ხიზაბავრის საშუალო სკოლა), ო. ნ. მალ-
რაძე, მ. ნ. გურეშიძე (ოშარის საშ. სკოლა).

ოშარის საშ. სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას
ასწავლიან არასპეციალისტები. ო. მალრაძე—ისტორიკოსია, რო-
მელიც რუსული ენისა და ლიტერატურის დასწრებულ-დაუსწრე-
ბელი კურსების მსმენელია, რაც ალბათ დაეხმარება ნას მუშაო-
ნების ქართულ ენას.

ბის გარდა ემნაში ახალი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელების მიერ გურეშიძემ, როგორც ენის უცოდინარმა, ხელი უნდა იიღოს რუსული ენის სწავლებაზე.

უკელა ზემოაღნიშნულ სკოლაში საჭონტროლო, საჭლასო და საშინაო წერის რვეულები ტოვებს არასასიამოვნო შთაბეჭდილებას. ზოგიერთ სკოლაში საერთოდ არ ასწოებენ საკლასო-საშინაო რვეულებს. ნაწერებში არ ჩანს წერითი სამუშაოების მრავალფეროვნება. რვეულები არ არის სათანადოდ გაფორმებული. მასწავლებლები სათანადოდ არ არიან გაცნობილნი წერითი სამუშაოების სახეებსა და შეფასების ნორმებს.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში ახალ პროგრამებზე გადასცლასთან დაკავშირებით, ასპინძის რაიონის განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი გარკვეულ მუშაობის ეწევა. მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი თემატიკის მიხედვით (წარმოებს მეცადინეობა V და IX კლასების იმ მასწავლებლებთან, რომელთაც არ გაუვლიათ გადასამზადებელი კურსები, მეცადინეობა მიმდინარეობს თვეში ორჯერ).

მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულმოდგინედ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, ბეჯითად ემზადება გაკვეთილისათვის და სათანადო შედეგსაც აღწევს. მა მხრივ გამოირჩევაა: ს. ზედგენიძე (ასპინძის საშ. სკოლა), ქ. თევდორაძე (ხიზაბავრის საშ. სკოლა) და მ. ნემისაძე (იდუმალას რვაწლიანი სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის სწავლება დაბი ასპინძის საშუალო სკოლის მე-5 კლასში. გაკვეთილის თემა იყო „დადებითი და უარყოფითი რიცხვები“, მიზანს შეაღენდა ვარჯიში უარყოფითი რიცხვების გაყოფაზე. მასწავლებლმა ს. ლექიშვილმა გაკვეთილი დაიწყო მიცემული დავალების შემოწმებით. გამოძახებულ მოსწავლეთა წერითი დავალების შესრულების სისწორე არ შეუმოწმებია და მათი ცოდნა არაობისებრურად შეაფასა „5“-სა და „4“-ზე, დასახელებული მოსწავლეების წერითი დავალების რევულების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ დავალების შესრულებისას დაშვებული პერიოდი უკეში-შეცდომები: ე. ი. მოსწავლეები ვერ ფლობენ ათწილადის მთელ რიცხვზე და ათწილადის ათწილადზე გაყოფას, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ იცვლება მოქმედებათა შედეგები კომპიუტერების ცვლილებასთან დაკავშირებით, ვერ აღგენენ სხვადასხვანიშნიანი



რიცხვების განაყოფის ნიშანს. ასევე მეთოდურად დაბალ დანერტულად
ჩაატარა VII კლასში გეომეტრიის გაკვეთილი. მასწ. შ. გ. სანდო-
ძემ, სადაც გადასაცემი მასალა იყო „სამკუთხედების ტოლობის
პირველი ნიშანი“. აღმოჩნდა, რომ მასწავლებელი ნაკლებად ამუ-
შავებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნუჲ, არ იყენებს სწავლე-
ბაში, დიდაქტიკურ მასალას.

დაბალ დონეზე წარმარმრთა მასწავლებელმა დ. ი. ცინცაძემ
გეომეტრიის გაკვეთილი X კლასში. მასწავლებელს არ მოუხდენია
წერითი დავალების შესრულების შემოწმება, დასვა ფრონტალური
კათხვები, რომლებიც არაფრის მომცემი იყო ახალი მასალისათვის.
ახსნა ახალი მასალა—პირამიდის მოცულობა, სადაც არ გამოუყე-
ნებია დიდაქტიკური მასალა—სამკუთხა პრიზმის მოდელი, რომე-
ლიც იშლება სამ ტოლ დიდ პირამიდად. ახსნილი მასალის გან-
მტკიცება არ მოუხდენია, მოსწავლეებს უჭირთ უმარტივესი ტრი-
გონოპეტრიული განტოლების ამონახსნის ზოგადი სახით ჩაწერა;
მოქმედებანი ირაციონალურ ერთწევრებზე, ვერ ადგენენ ტრიგო-
მეტრიულ იგივეობაში შემცვალი არგუმენტის დასაშვებ მნიშვნე-
ლობებს, უჭირთ და ვერ ამყარებენ ურთიერთდამოკიდებულებას
მართკუთხა სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავ-
ლება მეცსრე კლასებში აღვებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში
გამოსაკითხი მასალა იყო „ბიკვადრატული განტოლება“, ხოლო
გადასაცემი მასალა—„მეორე ხარისხის ორუცნობიანი სისტემის
ამოხსნა“. მასწავლებელმა არაორგანიზებულად შეამოწმა წერითი
დავალება, ვერ გამოავლინა, თუ ვის პქონდა დავალება შესრულე-
ბული დამოუკიდებლად. კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო
ორუცნობიანი პირველი ხარისხის განტოლებიდან ერთი უცნობი
სიდიდის განსაზღვრა მეორე უცნობის დახმარებით. მოსწავლეთა მიერ
დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომები სწორდებოდა მასწავ-
ლებლის მიერ რევეულში ჩახედვით, სადაც წინასწარ გამოყვანილი
პქონდა მიცემული სისტემა და ბოლოს, მიუხედავად ამისა, ამო-
ნახსნების შემოწმება ვერ მოახერხეს. შეეცადნენ მეორე ანალოგი-
ური სისტემის ამოხსნას, მაგრამ, ვერ ამოხსნეს, მიუხედავად მას-
წავლებლის აქტიური ჩარევისა. მოსწავლეთა ცოდნის დანე ძალზე
დაბალია. ვერ ამსხვავებენ განტოლებას იგივეობისაგან, ვერ აძლე-
ვენ გეომეტრული ინტერპრეტაციას წრფივი უტოლობის ამონახსნს,

ვერ ერკვევიან თუ როდის აქვს წრფივ განტოლებათა სის ემან
ერთადერთი, უამრავი და ჩოდის არა აქვს ამონასხვები.

მასწავლებელი ც. კუნელაშვილი ასწავლის სამ მეცხრე კლასს,
სადაც ჩატარებული აქვს საკონტროლო წერები. ს. მივე კლასში
შეღვენილი აქვს ერთი და იგივე ვარიანტის ამოცანები და მაგა-
ლითები. წერის სახეები არ არის დაცული, გასწორების ხარისხი
დაბალია. მასწავლებელს გაპარული აქვს არსებითი ხარისხის
შეცდომები, გვედებით საკონტროლო წერის ნიშნების გადასწორე-
ბს თვით საკონტროლო წერის რევულებში.

მეცხრე კლასის გეომეტრიის კურსში პირველ მეოთხედში
ისწავლება პლანიმეტრიიდან “თემა—“რიცხვითი მიმდევრობა” და
შემდეგ წერეწირის სიგრძისა და წრის ფართობის გამოანგარიშება.

პროგრამული მასალის გავლის თანმიმდევრობა დაცული არ
აქვს, აღნაშნულ თემაზე საკონტროლო წერაც არ აქვს ჩატარე-
ბული. დაახლოებით 20 ოქტომბრიდან მასწავლებელს უნდა დაეწყო
გეომეტრიის სტერეომეტრიული კურსის შესწავლა, მაგრამ იმდენად
აქვს პროგრამული მასალის გავლის თანმიმდევრობა არეული, რომ
მან 21 ოქტომბერს ჩატარა საკონტროლო წერა სტერეომეტ-
რიულ ამოცანებზე.

არაურით არაა გამართლებული, რომ ასეთი მომზადების
მასწავლებელი იყოს „ნორჩ მათემატიკოსთა“ წრის ხელმძღვანელი.

ნაკლოვანებებით ხასიათდება მათუმატიკის სწავლება, ტოლო-
შის საშუალო სკოლაში (მასწ. რ. ველიჯანაშვილი). IX კლასში
ვინარას თეორემის ჩამოყალიბებისას მოსწავლეები უშევებენ შეცდო-
მებს: „დაყვანილი კვადრატული განტოლების ფესვთა ჯამი უდრის
მეორე კოფიციენტს მობირდაბირე ნაშნით, ხოლო ფესვთა ნამ-
რავლი კი თავისუფალ წევრს თავისცე ნიშნით“, რასაც მასწა-
ლებელი არ ასწორებს.

ასაღი მასალა არ აუხსნია მასწავლებელს და მოსწავლეები
ავარკიშვა მაგალითებზე—კვადრატული განტოლების ამოუსტნელად
გამოიანგარიშონ ფესვთა კუბების ჯამი. მოსწავლეებს უკირთ მრა-
ვ ლწევრის მრავალწევრზე გამრავლება, მოქმედებანი ირაციონა-
ლურ ერთწევებზე.

ჩატარებული აქვს საკონტროლო წერები (VII—X კლ) სადაც
დაცული აქვს ნორმები, მაგრამ საკონტროლო წერისათვის X კლასში
მაცუმული აქვს ისეთი მაგალითები, რომლებიც საკლასო სამუშაოზე

არის ამოხსნილი. საკონტროლო წერის გასწორებისას გაპარული
აქვს უხეში შეცდომები.

IX—X კლასებში პროგრამული მასალის თანმიმდევრობა არ
არის დაცული. (IX კლასში გეომეტრიაში არ არის გავლილი
„რიცხვითი მიმდევრობანი“—X კლასში აღვებრასა და ელემენტა-
რულ ფუნქციებში გამეორება 16 საათი მიზნობრივად არაა გა-
მოყენებული). მე-10 კლასში საკონტროლო წერაზე აღვებრასა და
ელემენტარულ ფუნქციებში 14 მოსწავლიდან 12 მოსწავლემ არა-
დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

შედარებით შეკვეთები გაკვეთილი ჩატარა მეხუთე კლასში
მასწავლებელმა ა. მელიქიძემ. გაკვეთილის თემა იყო „დაღებითი
და უარყოფითი რიცხვები“. გადასაცემი მასალა—„ვარჯიში უარ-
ყოფითი რიცხვების გაყოფაზე“. მოსწავლეებმა ცრან მოქმედებების
ჩატარება რაციონალურ რიცხვებზე, გამოსახულების რიცხვითი
მნიშვნელობის გამოანგარიშება ასოს დასახელებული მნიშვნელო-
ბისათვის და სხვ. ნიშანზე გამოიხატებულ მოსწავლეებს აფასებს
ობიექტურად, მაგრამ, ამასთან, იგი არ აწარმოებს დამოუკიდებელ
მეშაობას, არ აწორებს წერითი დავალების ოვალებს. V—VI
კლასებში დაცული არ აქვს საკონტროლო წერის ნორმები. მას-
წავლებელთან ერთად შევარჩიეთ სახელმძღვანელოდან მაგალითები
და ჩავატარეთ საკონტროლო წერა მე-6 კლასში. შედევი ასეთი
არის: 10 მოსწავლიდან „3“ დაიმსახურა 2 მოსწავლემ და ნიშანი
„2“—8 მოსწავლემ. სკოლაში არ არის შექმნილი მათემატიკის
მასწავლებელთა მეთოდებართიანება.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავ-
ლება ხიზაბავრის საშუალო სკოლის VII და IX კლასებში (მასწავ-
ლებელი ს. პლაჭიაშვილი). VII კლასში გამოსავითხი მასალა იყო
„ნაკვეთის ფართობის გაზომვა“, გადასაცემი მასალა—„მარტკუთხე-
დის ფართობი“. მასწავლებელმა გაკვეთილზე შეამოწმა მოსწავლეთი
მიერ წერითი დავალების შესრულების სისტორე და დაიწყო თეო-
რიული მასალის გამოყენება. გამოიხატებულ მოსწავლეს გაკვეთი-
ლის თხრობა უჭირდა და პქტიურად ერეოდა თვით მასწავლებელი. მოსწავლის მიერ დაშვებული უხეში შეცდომა „პალეტი არის ფარ-
თობის საზომი ერთეული“ მასწავლებელმა ვერ შენიშნა. მასწავ-
ლებლის მიერ დასმული კირხვები მეთოდურად არ იყო გამარტუ-
ლი. ასე მაგ.: „რომბის გვერდები ტოლია თუ არა?“, „მართკუთხე-
დის რომელი გვერდებია სწორი და რომელი არა?“, „მართკუთხე-
დის დააგონალები ტოლია თუ არა?“. იხალი მასალი „მართკუთხე-

დის ფართობი” ახსნა ლექციური მეთოდით, ი. რომ მოსწავლე გები უმოქმედოდ ისხდნენ. ამოხსნა ერთი ამოცანა — „მარკულუს დის ფართობის გამოანგარიშებაზე”; თვით მასწავლებელი უშევებს ჩანაწერში შეცდომას. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო კითხვებზე: კვადრატულ მეტრში რამდენი არია?, ჰექტარში რამდენი კვადრატული მეტრია ან რამდენა არია და სხვა. პასუხის გაცემა მეთოდურად დაბალ დონეზე წარიმართა მის მიერ IX კლასში გადაცემური გეომეტრიის გაკვეთილი, სადაც გამოსაყითხი მასალა იყო „სიბრტყეების პარალელობა“. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული ორორიული ვასალი არ იცოდნენ მოსწავლეებმა, წერთი დავალება არცერთ მოსწავლეს არ ჰქონდა შესრულებული. მასწავლებელმა თეატრიული მასალის არცოდნაზე ყურადღება არ გაამახვილა და გადავიდა ამოცანის ამოხსნაზე ყოველგვარი ანალიზის გარეშე. ამოცანის ამოხსნისათვის შედგენილი ნახაზი არ იყო სრულყოფილი. არ უჩვენა უხილავი ხაზები. დაფასთან ამჟავა შედარებით ძლიერი მოსწავლე თავისი ზედამხელველობის ქვეშ, დანარჩენი მოსწავლეები მექანიკურად იწერდნენ დაფიდან. შევნიშავთ, რომ ამოცანა „ამოხსნა“ ისე, რომ პასუხი ვერ მაიდეს, შეცდომა და უშვეს გამოხახულების გარდაქმნა-გამარტივებაში. დასმულ კითხებზე: „როგორ გამოვიანგარიშოთ სექტორის, სეგმენტის და რგოლის ფართობი?“, რაში მდგომარეობს სიბრტყის ძირითადი თვისებები? ვერცერთმა მოსწავლემ ვერ უსისუხა. ჩატარებული აქვს საკონტროლო წერები, სადაც დაცული არ აქვს წერის ნორმები და თემატიკა. გასწორების ხარისხი დაბალია — გაპარული აქვს, უხეში შეცდომები. მის მოსწავლეებს უჭირთ ალგებრულ გამოსახულებაში შემავალი ასევების დმს (დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლის) დადგნა. სკონტროლო წერის ნიშნები არ არის შეტანილი უზრუნველყო.

შეორენ კლასებს აწავლის მასწავლებელი თ. გ. მექოშვილი, დღემდე ჩატარებული უნდა ჰქონდეს 10 საკონტროლო წერა ჩატარებული აქვს — 4, წერის ნიშნები უურნ ლში არ არის ფიქსირებული, ასევე, დამუშვებული მასალა სისტემიტურად არ შეაქვს ურჩალში. მასწავლებელი საკონტროლო წერებს ატარებს ძალზე მოუმხადებლად. 17 ოქტომბრს მის მიერ ჩატარებულ წერაზე 19 მოსწავლიდან ნიშანი „2“ დაიმსახურა 11 მოსწავლემ.

წერნს მიერ ჩატარებულ საკონტროლო წერაზე 20 მოსწავლიდან (IV² კლ.) „3“ მიიღო 6 მოსწავლემ და „2“ 14 მოსწავლემ. მასწ. მექოშვილს არაობიერებურად აქვს ნიშნები გამოყვანილი.

ახევე არასასურველი შედეგი მივიღეთ საკონტროლო წერაზე მიმდინარე კლასში (მასწ. კ. თელორაძე), 24 მოსწავლიდან ნიშანი „3“ და სახურა 12 მოსწავლემ და „2“—12 მოსწავლემ.

ნაჭალაქვის საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლება მინდობილი აქვთ დამტკიცებულებს ი. ბერიძეს (IV—VI—VIII—IX კლ.) და თ. მაისურაძეს (V—VII—X კლ.), რომლებსაც დამთავრებული აქვთ გორის პედინსტიტის დაუსწრებელი განყოფილება, ისინი დაბალ აკადემიურ ღონებზე ატარებენ გაკვეთილებს.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება იღუმალას 8-წლიანი სკოლის VII—VIII კლასებში. სადაც ასწავლის სკოლის დირექტორი ი. აბულაძე.

შემოწმებულ სკოლებში არსებობს ფიზიკის კლას-კაბინეტები და სათავსოები სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ხელსაწყო-იარაღებისათვის.

ასპინძის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში (გამგე დ. მალრაძე) არ არის დაბნელების სისტემა (აკეცილი ფარდები ინახება სათავსო ოთახში), ხელსაწყო-იარაღები განყოფილებების მიხედვით დაულაგებელი და მოუვლელი ინახება შეუმინავ კარადებში. სასკოლო გამანაწილებელი ფარი დაუმონტაჟებელია.

ახევე მოუვლელია ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები ხიზაბავრის საშუალო სკოლაში. ამასთან ერთად, აქ შეძენებულია რამდენიმე ცალი ერთიდაიგივე სადემონსტრაციო ხელსაწყო. ზაგალითად, ელექტრომეტრი—8 ცალი, დეფორმაციის შესასწავლი. ხელსაწყო—2 ცალი, რუმკიფის კოჭი—3 ცალი, ცენტრიდანული მანქანა—2 ცალი, ბაროგრაფი—3 ცალი (ახეთი ხელსაწყოები კაბინეტში უნდა იყოს თითო ცალი, გარდა ელექტრომეტრისა) მაშინ, როდესაც კაბინეტი საკმაოდ ღარიბია ხელსაწყო იარაღებით. ამ მხრივ, ანალოგიური მდგრადულობაა ნაჯილაქვის საშუალო სკოლაშიც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რაიონში არ არსებობს არცერთი სკოლა, რომლის ფიზიკის კაბინეტი იყოს კეთილმოწყობილი და სრულყოფილად პასუხობდეს ახალი პროგრამით ფიზიკის სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს, რის გამო არცერთ სკოლაში ფიზიკის სწავლება კარგად არ არის დაყენებული.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ფიზიკის სწავლება ასპინძის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი კ. გრიგალაშვილი კარგად ფლობს საგანს, სათანადოდ ემზადება გაკვეთილებისათვის. მსჯელობს გამართული და დამაჯერებელი ენით, მაგრამ სწავლე-

ბაში ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. ჯ. გრიგალაშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილი VIII და X კლასებში დამაკმაყოფილებელი იყო. ახალ მასალაზე შეკნებულად გადასვლისათვის მასწავლებელი ეყრდნობოდა წინათ შესწავლილი მასალის ცოდნას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა მასალის ღრმად. და სატუძვლიანად შესწავლას. მოსწავლეები ძირითადად ფლობენ საპროგრამო მასალას, მაგრამ, ამასთან ერთად, უჭირთ ზოგიერთი ფიზიკური მოვლენის და თვისების გარჩევა (მაგ. ინერცია, ინერტულობა), VIII კლასში თველის სისტემის რაციონალურად შერჩევა, ვექტორული განტოლებიდან სკალარულზე გადასვლა და სხვ. დამაკმაყოფილებლად მუშაობს ამავე სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დ. მაღრაძე, სუევე დამაკმუროფილებლადაა დაყენებული ფიზიკის სწავლება. მშობის საშუალო სკოლაში. მასწავლებელ ალ. რობაქიძეს გავლილი აქვს დახელოვნების 1-წლიანი კურსები. მას პროგრამის შიხედვით კარგად აქვს შედგენილი კალენდარული გეგმა. ყოველი გაკვეთილისათვის გულმოლგინედ ემზადება, იყენებს მეთოდურ და დამხმარე ლიტერატურას. IX კლასის მოსწავლეებმა მყარი სხეულების დეფორმაციაზე და სითბურ გაფართოებაზე დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს, მაგრამ სუსტიად იციან გაზების კანონები და მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი საკითხები. ახალი მასალა — „მოცულობითი გაფართოება“ მასწავლებელმა თხრობის მეთოდით დამაკმაყოფილებლად ასნა. მან საქმაოდ არ გაამახვილა ყურადღება მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტის ფიზიკურ შინაარსზე. ამ მასალის ასსნის დროს უმჯობესი იყო მასწავლებელს გამოყენებინა საუბრის მეთოდი, რითაც მიაღწევდა მოსწავლეთა აქტივობას ახსნის მსვლელობაში.

შედარებით სუსტი ცოდნა გამოავლინეს ამავე მასწავლებლის VIII და X კლასის მოსწავლეებმა.

ფიზიკის სწავლების საქმეში არსებობს სერიოზული ნაკლებნებინა:

ნაქალაქევის საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლიან საგნის არასპეციალისტები, დამშეცები მასწავლებლები თ. მაისურაძე და ი. ბერიძე.

VII კლასში მასწავლებელმა თ. მაისურაძემ მეცნიერულად და მეთოდურად გაუშართავი გაკვეთილი ჩაატარა. გამოსაკითხით თემა: „დუღილი. ორთქლად ქცევის და კონდენსაციის კუთრი



სითბო“ მოსწავლეებმა არ იცოდნენ. ისინი ვერ პასუხობთნინ
კითხვებზე: „როგორ პროცესს ეწოდება დულილი“, „რა მასშია
ძალების ორთქლით სავსე პერის ბუშტულაზე, როცა ის სითხე—
ში იძყოფება?“, „რას ეწოდება ორთქლიდეცევის კუთრი სითბო?“, „
რას გვიჩვენებს თრაქლიდ ქცევის კუთრი სითბო?“ და სხვა.

კლასმა გავლილი მასალის უცოდინარობა გ მოამუდავნა. მოს-
წავლეებმა ამ იციან ფიზიკური სიღილეების განმარტებები და
მათი საზომი ერთეულები (მაგ. წყლის კუთრი სითბოტევადობას
ზოგიერთი მოსწავლე წერს ასე: C°. ზოგი—ასე 100C° და ზოგიც
ასე—4200C°).

მასწავლებელმა ახალი მასალა—„სითბოს, გაანგარიშების მა-
გალითები“ მოსწავლეებს ვერ აუნსნა. მან § 37-ში მოცემული
პირველი ამოცანის მოხსნა დაწერა დაფაზე, მაგრამ ვერ გააგე-
ბინა, საიდან გაჩნდა ფორმულა.

მასწავლებელი საუბრის დროს უშვებდა შეცდომებს. მაგალი-
თად: „წყალი და რძე ერთსა და იმავე ტემპერატურაზე დცული“, „ამისკინ ჭონა ანუ მასა“ და სხვ.

ასევე სუსტი გაკვეთილი ჩატარა ამავე სკოლის მასწავლე-
ბელმა ი. ბერიძემ IX კლასში, მაგრამ იგი საუბრის დროს მეცნიე-
რული ხასიათის შეცდომებს არ უშვებდა. მოსწავლეებმა გავლილი
სპროცენტო მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟავნეს. მათ არ იციან
მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი განტოლება, ტემ-
პერატურის ცნება, მეხდელებ-კლაპეირონის განტოლება, იდეალური
გახი, შარლის კანონი, ზედაპირული ესერგია, კაპილარული მოვ-
ლენები. ვერ სწნია სახელმძღვანელოში დამოუკიდებლად ამოსახს-
ნელ ამოცანებს. მასწავლებელმა ი. ბერიძემ წელს პირველად დაი-
წყო მუშაობა სკოლაში, ამიტომ მას დიორეტიის მწრიდან მეტი
დახმარება და კონტროლი ჟაჭიროება.

ანალიგიური ნაკლოვანებანი ახასიათებდა ხიზაბავრის სა-
შუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლის (სპეციალობით მათემა-
ტიკოსი) ი. ლეკიშვილის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს IX კლასში,
ტოლოშის საშუალო სკოლის მასწავლებლის ალ. მელიქიძის მიერ
ჩატარებულ გაკვეთილს IX კლასში (იგი შედარებით კარგად მუ-
შაობს X კლასში) და ამავე სკოლის მასწავლებლის (სპეციალობით
ქიმიკოსი) გ. ბუხრაშვილის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს VI კლასში.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ქიმიას ასპინძის საშუალო
სკოლის მასწ. ლ. ბრეგაძე.

ნაქალაქეების საშუალო სკოლაში ქიმიის ასტავლის ბიოლოგიური ცოდნებით გაფარგველი. VII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ქიმიის დაწყებით ცნებებსა და კანონებში, უერ განმარტავენ ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს, არ იციან ქიმიის ძირითადი კანონები ნივთიერებების მასისა და შედგენილობის მუდმივობის, ატომურ-მოლეკულური მოძღვრების ძირითადი დებულებები. მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება ვერ შეძლო მასწავლებელმა. ახალი მასალა — უანგბადის მიღება-თვისებები — 7 წუთში ახსნა ზეპირისტყვიერად, ცდების გარეშე. სრული უცოდინაობა გამოამუღლავნეს აგრეთვე ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლეებმაც. ვერ აღგენენ ფორმულებს და ტოლობებს ვალენტობის გამოყენებით, არ იციან უანგვა-აღდგენის საკითხები, ვერ განმარტავენ ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის თვალსაზრისით ფუძეებს, მეავებსა და მარილებს, ვერ აღგენენ ნაერთთა სტრუქტურულ ფორმულებს.

ქიმიის სწავლების საქმეში მოუთმენელი მდგრადარეობა გამოვლინდა ხიზაბავრის საშუალო სკოლაში (მასწ. ს. ყრუაშვილი), მასწავლებელს დამთავრებული აქვთ თბილისის პუშკინის სახელობის პედი ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. ქიმიის ასწავლის 1967 წლიდან. მასწავლებელი ს. ყრუაშვილი ვერ ფლობს, ამ საგანს, თვითონ ვერ ერკვევა პროგრამული მასალის ძირითად საკითხებში. ვერ აღგენს ნაერთთა სტრუქტურულ ფორმულებს, არ ესმის ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა უანგვა-აღდგენის პროცესი. არ ტარდება ცდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. IX—X კლასის მოსწავლეები საპროგრამო მასალაში უცოდინარობას ამჟღავნებენ.

დაბალ დონეზე ტარდება ქიმიის გაკვეთილები ტოლოშის საშუალო სკოლაში. მასწ. გ. ბუხრაშვილი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ ფლობს ცდების ჩატარების ტექნიკას, უინტერესოდ გადასცემს გაკვეთილებს. ამასთან, არ აწარმოებს გავლილი მასალის თანმიმდევრულ გამოყორებას, არ აძლევს მოსწავლეებს დავალებებს ამოცანების ამოხსნაზე, რის გამო შემოწმებულ კლისებში (IX—X კლ.) მოსწავლეები საპროგრამო მასალის საკითხებში უცოდინარობას ამჟღავნებენ. IX კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ელექტროლიტური დისოციაციის ძირითად დებულებებში, ვერ ხსნიან, თუ რატომ არ ატარებს ელექტროდენს მყარი

მარტოლები. ვერ ადგენენ ქიმიურ ტოლობებს ამფოტერულ ლებზე ($\text{Al}_2\text{O}_3 + 4\text{NaOH} = 2\text{Na}_2\text{AlO}_2 + \text{H}_2\text{O}$). შეცდომებს შასწავლებელიც ვერ ასწორებს. X კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან გავაითვის მასალის ძირითად საკითხებში, არ იციან ბენზოლის ოვალებები; ეთილენის მიღება-გასოფენება, დიენური ნახშირწყალბარების და სხვა საკითხები. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა უმა ატავები ამოცანა — „როგორია გაზის მოლ-წონა, თუ 15 ლიტრი მოცემული გაზი იწონის 0,7 გრამს“. მოუვლელია ქიმიის სათეალს. ჩინო მასალები, უწესრიგოდ არის ჩაყრილი კარადებში, არ ტაოლება ცდები და პრაქტიკული სამუშაოები.

დაბაქმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება ასპინძის (მასწ. გ. თარაშვილი), ტოლოშის (მასწავლებლები გ. ბერაშვილი, ა. მელიქიძე), ოშორის (მასწ. კ. ლამარაშვილი) საშუალო სკოლებში.

გარევეული ხარვეზებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება ხიზაბავრის საშუალო სკოლაში. მასწ. უ. ხუციშვილი V კლასში მასლი — „თესლის გაღვივების პირობების“ შესხებ გამოკითხვისას მოსწავლე რა მიერ დაშვებულ შეცდომებს ყოველთვის არ ასწორებდა, სხეულდნა: რადგან თესლის აღმოცენების ერთ-ერთ პირობას წარმოდგენს ჟავოი-ჭანკბადი, ამატომ ჭიქაში, რომელშიც ანადუღარი წეალია, თესლი არ აღმოცენდება. მოსწავლე კი პირიქით ამბობს, რასაც ძასწავლებელი არ ასწორებს. მასალის — „თესვის დროს“ ახსნისას მასწავლებელს პრადერი უთქვაშს იმაზე, რომ თესვის სიდრმე დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, ქვიშნარ ნიადაგებში თესვის თვისებებურებებზე და ა. შ.

VIII კლასში კი მასწ. უ. ხუციშვილმა გასალის — „სისხლისა და ლიმფის მოძრაობა ორგანიზმში“ გადაცემისას თვალსაჩინოებად გამოიყენა სასელმძღვანელოდან ამოხეული პატარა სქემა და არა დიდად და კარგად გამოსახული სქემა.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ნაქალაქევის საშუალო სკოლაში მასწ. ე. გაგაშელი სუსტად ფლობს საკანს და მისი სწავლების მეთოდებს. IX კლასში მასალის — „ბრძოლა არსებობისათვის“ მოყოლისას მოსწავლეები უშვებდნენ შეცდომებს, რასაც მასწავლებელი არ არ ასწორებდა. მაგ. მოსწავლე ამბობს: არსებობისათვის ბრძოლის (მესამე ფორმა არის ბრძოლა ადგილობრივ პირობებთან, ნაცვლად არაორგანული ბუნების არახელ საყრელ პირობებთან ბრძოლისა. მასწავლებელმა ვერ შეძლო ახალი მასალის — „სახლო-

ბათა შორის რთული დამოკიდებულება" გასვებაზ ახსნა, რიცხვებით განვიტანოთ ასპინძის საშუალო სკოლის, შევოწებულ სკოლებში ან ტანადება საკონტროლო წერები. სკოლებში სათანადოდ არ არის მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და ნაკლებად ზრუნავენ მათ შევებაზე. სასკოლო მიწის ნაკვეთებზე არ წარმოეპს საცდელი მუშაობა და ა. შ.

კარგადაა დაყენებული ისტორიის სწავლება ხიზაბავრის საშუალო ცეკვითაში. მასწავლებელი ა. ველიჯანაშვილი სათანადო ემჩიდება გაკვეთილებისათვის და მას მაღალ მეცნიერულ და იდეურ დოკტორებულების. VI კლასის მოსწავლეებმა შეგნებულია გადმოცემა, რატომ წარმოადგენდა შუა საუკუნეების ქალაქი ციხე-სიმაგრეს, რატომ ცდილობდნენ ქალაქები სენიორებისაგან განთავა-სუფლებას, ვინ შედიოდა ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაში და ა. შ. ასევე კარგად მეშაობს ამავე სკოლას მასწავლებელი პ. პაპაშვილი.

ტოლდშის საშუალო სკოლის (მაწ. პ წინწყალიძე) VIII კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან ისტორიული ფაქტები და მოვლენები, მათ ზუსტად განმარტეს ბურუუაზის პროგრესული, რევოლუციური როლი დეოდალიზმის წინააღმდევ ბრძანები, ბურუუაზის ცხორიული შესტუდელება, რატომ ქმნის ბურუუაზია თავის მესაფლავეს—პროლეტარიატს, რა იწვევს კრიზისებს, რატომ სდება ბურუუაზიული საზოგადოება მწარმოებლური ძალების შექმდებით განვითარების შემთხვერებლად, რატომ არის მარქსიზმი გადატრადება მეცნიერებაში საზოგადოების შესახებ და ა. შ.

კარგად ისწვლება სასოგადოებათმცოდნება ასპინძის საშუალო სკოლაში. მასწავლებელმა ნ. დიასამიძემ მოხდენილია ასენა—ასელხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება". სოციალისტური წარმოების განვითარების ტემპები, სახალხო მეურნეობის კვემიაზომიერი, პროპორციული ზანკითარების კანონი, ლაგეგმვის იმოცნება და მეოთები. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე სოციალისტური საკუთრების ფორმები; მათი სიერთონიშნები და განსხვავებანი, სახელმწიფო საკუთრების წამყვანი როლი, სახელმწიფო საშატმოები, მათი მართვა, კოლმეურნეობა, მასი ფონდები, შრომის ორგანიზაცია და ანთაღაურება, პრადი საკუთრება და სხვ. მოსწავლეთა პასუხები იყო სრული, ზუსტი, ამომწურავი, ბოლომდე გააზრებული, გაცნობდებული და გაგე-2.

ბული. მონდენილად გადასცა სსრ კავშირის ისტორიის გაყველებული
— „ახალგაზრდობა მიღის მამათა გზით. იმრავლებს მათ დიდებას
ნაქალაქვის საშუალო სკოლის მასწავლებლმა ბ. ზახაძემ. მისი
თხრობა იყო მშვიდი, ზუნდბრივი და მიიჩიდველი. მოსწავლეები
აქტიურად მიჰყვებოდნენ თხრობის მსვლელობას, თხრობის დროს
მასწავლებელი მიმართავდა ჩართულ შეკითხვებს, რადგნად გაიგეს
მოსწავლეებმა თხრობის გარკვეული მონაცემთი. საჭირო შემთხვე-
ვაში კვლავ უბრუნდებოდა საკითხის ამა თუ იმ სახით გაშექებას და
მომდევნო საკითხზე მხოლოდ მას შემდეგ გადადიოდა, როცა გარ-
კვეული იქნებოდა, რომ კლასმა ეს საკითხი დაძლია. სწორედ ამით
აისწნება, რომ მოსწავლეებმა შეგნებულად იცოდნენ გაცვეთილი —
„საბჭოთა კავშირის კომუნიკტური პარტიის XXIV ყრილობა. მო-
ნოლითური ერთიანობა“ . მათ ზურტად და ამომწურავად გადმოსცეს
სკპ ამოცანები საგარეო პოლიტიკის დარგში და ახალი ხეთწლე-
დის ძირითადი ამოცნები, პარტიის ამოცანები სოციალურ-პოლი-
ტიკური განვითარების დარგში და სხვ.

«სტორიის სწავლების საქმეში არსებობს „კრკვეული ნაკლო-
ვანებანი: ნაქალაქევის საშუალო სკოლის VI კლასის მასწავლებელი
შ. მაისურაძე ვერ ახერხდს სახელმძღვანელო წიგნს დაუხმარებლად
გადასცეს გაკვეთილი, მეცნიერულად და იდეურად გაუმართავ
გაკვეთილებს ატარებს, არასწორად განმარტავს გაკვეთილის მი-
ზანს, მაგ. ახალი მასალის—„კათოლიკური ეკლესიის ძლიერება
დასავლეთ ეკროპაში“—მიზნად გეგმაში უწერია — „შეასწავლოს
მოსწავლებს კათოლიკური. ეკლესიის ძლიერება დასავლეთ ეკრო-
პაში“—არ ისახავს მიზნად უჩვენოს მოსწავლეებს კათოლიკური
ეკლესიის რეაქციული როლი. ამით უნდა იისწაას, რომ წინა
მასალა „ვაჭრობის განვითარება“ მოსწავლეებმა სუსტად იცოდ-
ნენ. მათ სრულყოფილად ვერ განმარტეს სოფლის მეურნეობისა
და ხელოვნების განვითარებასთან ერთად რატომ ვითარდებოდა
ვაჭრობა, ქალაქების წარმოშობასა და ვაჭრობის განვითარებასთან
ერთად რატომ გახდა გლეხის შრომა უფრო ნაყოფიერი. მოსწავ-
ლეებმა ვერაფერი თქვეს ლუბეკელი ვაჭარი ბრიუგში წასვლისას
რა საქონელს წაიღებს და რა გზით უფრო მოსახერხებელი იქნება
მგზავრობა ან ვენეციელი ვაჭარი შამპანის ბაზარზე წასვლისას რა
საქონელს წაიღებს, რა გზით წავა, რა სიძნელეებს და ხიფათს
წააწყდება გზაში. .

ანალოგიური ნაკლოვანებანი ახასიათებდა ამავე სკოლის ჩატარებლის გ. ბერიძის ჩატარებულ გაფავეთის VIII კლასში. ამავე სკოლის ისტორიაში ტოლოშის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწ. დ. მელიქიძე) და ასპინძის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწ. ა. ზაზაძე) მოსწავლეებმა

რაიონის სკოლებში არა მოწყიბილი ისტორიის კაბინეტები და არ ცწევიან სამხარეო მუზეუმების, მაშინ, როდესაც ამ რაიონში მრავლ-დაა ხელოვნების უნივერსური ძეგლები.

კაცგადაა დაყინებული გეოგრაფიის, სწავლება ასპინძის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გ. გურგენიძე მოსწავლეებისა-სა ვის საცემით გასაგებად, მისაწვდომად ხსნის მასალას. ამიტომ მოსწავლეებს საპროგრამო მასალის მქვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გააჩნიათ. სახელდობრ, VIII კლასის მოსწავლეებმა ზუსტად განსაზღვრეს ცენტრალური შავმიწანიადაგიანი რაიონის ეკონომი-ურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მისი მეურნეობის თანამედროვე სპეციალისტურა, ასევე საფუძვლიანად დაახასიათეს საოლქო ცენტრების ეკონომიური გეოგრაფია და ა. შ.

დაბალ დონეზე დგის გეოგრაფიის სწავლება ხიზაბავრის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ს. ადეიშვილი არ ემზადება გაკეთილებისათვის, არ იყენებს სწავლებში თვალსაჩინოებას. VI კლასში გაკვეთილზე მასწავლებელს არ ჰქონდა გლობუსი მაშინ, როდესაც სკოლას რამდენიმე სხვდასხვა სახის გლობუსი აქვს. ვერ განსაზღვრეს გლობუსზე უმოვლესი მანძილი ანტარქტიკურან სამჩრეთ ამერიკამდე და ავსტრალიამდე; ვერ გაზომეს ანტარქტიდის განვერნილობა პოლუსიდან ნაპირებამდე ნულოვან და 180° მერიდიანების გასწერივ, ასევე ვერ განსაზღვრეს ატლასის რეკის მ-ჯედვით საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი საფუძრების—ვოსტოკისა და მოკლიონების კოორდინატები, რა უგან ატლასის რეკა არცერთ მოსწავლეს და არც მასწავლებელს არ ჰქონდათ. მასწავლებელმა ვერ ჩამოთვალა ყველა საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი სადყურა — მირი, ვოსტოკი, კომისომოლეკაია, პიონერიკაია, სოკეტიკაია, — ნოვოლაზარევსკაია, მიწვდომლობას პოლუსი. მან რესი მოკაურების—ბელინსხაუზენი და ლაზარევი, ნორვეგიერების და ინგლისელი მაგზაურების — ამუნდსენისა და სკოლის არქტიკის გამოკვლევისათვის მოწყობილი გმირული ექსპედიცია არ

გამოიყენა მოსწავლეების გმირობისა და სიმამაცის სულისკვებულებები აუზრდისათვის. მასწავლებელი ვერ ასახელებს და ვერ უჩვეულებს მოსწავლეებს შევი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში სრუტეებსა და ზღვას—ბოსფორის სრუტეს, მარმარილოს ზღვას, დარდანელის სრუტეს და ეგეოსის ზღვას.

რაიონში მუშაობს 97 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, სადაც სწავლობს 2.000-ზე მეტი მოსწავლე. ყველა სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღსაზრდელთა კვების ორგანიზაცია, ამიტომ, მეცადინეობას შემდეგ, ბავშვები შედიან სახლებში, სადილობენ და ხელახლა პრენდებიან სკოლაში. ყველა აღმზრდელი არ მუშაობს სათანადო მონაცემებით. ასპინძის საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელი ვ. ცისკარიძე სრულიად არ ეხმარება აღსაზრდელების გაქვეთილების მომზადებაში. შემოწმების ღღეს მან სამუშაოს დამთავრების შემდეგ ვერ გვითხრა, რა სახის საშინაო დავალება ჰქონდათ მოსწავლეებს და როგორ შესრულეს იყენებით.

1971—1972 სასწავლო წელს რაიონის საშუალო სკოლა და ამთაერა 199-მა კაცმა, რომელთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გრადუსებს აბარებდა—137, აქედან წარმატებით ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში 6 კაცი, რაც ნათლად ადასტურებს, რომ სკოლები ვერ აძლევენ მოსწავლეებს ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში პროგრამია გათვალისწინებული საკითხების მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას. ასევე, 191 რვაკლასდამთაგრებულიდან მეცერე კლასებში წარგლობს—163, პროფესიურ სასწავლებლებში—19, ტექნიკურ შემცირები—5.

ასპინძის (დირექტორი ნ. ლიასაშიძე), ტოლოშის (დირექტორი პ. წინწარალაძე), ნაქალაქევის (დირექტორი ბ. ზაზაძე) საშუალო სკოლებს მოფიქრებული და გააზრებული სამუშაო გეგმები აქვთ, მათში გათვალისწინებულია მუშაობის შინაარსი და პერსპექტივა სამუშაო დროის გარკვეულ მონაცემთში.

ზოგიერთი სკოლის სამუშაო გეგმა არ პასუხობს მოთხოვნილებას მაგ. ხიზაბავრის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. დათია-შვალი) სამუშაო გეგმაში შესასრულებელ საკითხებს არ აქვს მიწერილი შესრულების კალენდარული ვადები. არაა გათვალისწებული საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასასვლელად ლონისძიებების განხორციელება. ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებაში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა



გამოყენების, საპროგრამო მასალების გავლისა და ათვასების მდგრადი რისტრი, პოლიტიკური ციკლის დისციპლინების სწავლების მდგრმარეობის, მოსწავლეთა წერითი კულტურის, აღმზრდელობითი მუშაობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა, ხალხთა შორის მეცნიერების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის, მშობლებთან პედაგოგიური პროპაგანდის ორგანიზაციის და სხვ. საკითხები.

ხიზაბავრის, ნაქალაქევის, ტოლოშის საშუალო და იდუმალის რვაწლიანი სკოლების პედაგოგიური საბჭოების როლი დაყვანილია იმის რეგისტრაციამდე, რაც არის და რაც მოცუმულია სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგიური საბჭოები არ იყენებენ საჭირობოროტო პედაგოგიურ საკითხებს და არ ზრუნავენ ამ საკითხების სწორად ვადაწყვეტისათვის. მომხსენებლები თავიანთი მოხსენებების ტექსტს და პრაქტიკულ წინადადებათა პროექტებს პედაგოგიური საბჭოს სხდომებისათვის წერილობით არ დღვენენ. წინასწარ, სათანადო არ ამხადებენ სიბჭოზე განსახილველ საკითხებს. ისინი ვერ იძლევიან პედაგოგიური კოლექტივისა და მისი ცალკეული წევრების მუშაობის კვალიფიციურ შეფასების. ხიზაბავრის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმში, 1972—1973 სასწავლო წლის I მეოთხედის შედევების განხილვისას, ვკითხულობთ: ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ საქმაო მეცნიერული ცოდნა და პედაგოგიური დახრილოვნება. ასევე, ქიმია-ბიოლოგიას კვალიფიციური კადრები მაღალ დონეზე ასწავლიან. შემოწმებით კი გამოვლინდა ამ საგნების სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებანი. უფრო მეტიც, ფიზიკას ირასპეციალისტი ი. ლეკიშვილი ძალზე დაბალ დონეზე ასწავლის. ზოჯვერ კი შეუსაბამობას. აქვს აღგილი, ოქმში ვკითხულობთ: „ქიმია-ბიოლოგიის გაკვეთილებზე დასწრებით გამოირჩვა, რომ მასწავლებლები სათანადო დონეზე ატარებენ გაკვეთილებს, მაგრამ მოსწავლეთა დიდი ჯაუფი ვერ ფლობს ქიმია-ბიოლოგიას“. ასევე, ოქმში წერია: „ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი მდიდარია თვალსაჩინოებით“ მაშინ, როდესაც სკოლას ძალზე ღრიბი ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტი გააჩნია.

ნაქალაქევის საშუალო სკოლის დარექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ბერიძე, რომელიც პირველი მეოთხედის შედევების შესახებ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით, წერს: სკოლა დაკომპლექტებულია



კერძოდ მასწავლებლებით, მაშინ, როდესაც ქიმია-ფიზიკის და გეოგრაფიის მასწავლებლები სცეციალისტები არ არიან. აქაც ადგილი აქვს შეუსაბამობას. მაგ. ოქტომბერის ვკითხულობთ: დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია, მაგრამ დაბალია საგნის სწავლების დონე. ასევე წერია: „ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, მაგრამ სუსტად ფლობენ პროგრამულ მასალის მოსწავლები“. ინ ეიდევ: „ისტორია IV—X კლასებში დამაკმაყოფილებლად ისწავლება. მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ პროგრამულ მასალას.—მოსწავლეებმა არ იციან ისტორიაული მოვლენები და ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზები. არ იციან ქონოლოგიური თარიღები ზუსტად“.

ტოლოშის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე თითქმის ყველა სასწავლო დისციპლინის შესახებ წერია, რომ მათი სწავლება მოწოდების სიმაღლეზეა დაყენებული, შემოწმებით კი ცალკეული საკნების სწავლების საქმეში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებაი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიური პროპეგანდა მშობელთა შორის, ისინი არ არიან მომთხოვნი თავიანთი შეკილებისადმი, ასევე პედაგოგები და კლასის ხელმძღვანელები მტკიცედ არ მოითხოვენ მოსწავლეთაგან მოვალეობისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდას, მოსწავლეებში არ არის მკვიდრად დანერგილი დასციპლინა, მათ არ ესმით, რომ არ შეიძლება, არ მოამზადონ გაკვეთილები, არ შეიძლება გაკვეთილის გაცდენა, თუ არ აქვთ საპატიო მიზეზი. ამით უნდა აიხსნას, რომ დიდია რაიონის სკოლებში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედში ასპინძის საშუალო სკოლაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1581 გაკვეთილი, დამალის საშუალო სკოლაში—1310, ხიზაბავრის საშუალო სკოლაში—1054, ოშორის საშუალო სკოლაში—951, ნაქალაქევის საშუალო სკოლაში—526 გაკვეთილი, სელ რაიონის სკოლებში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 7671 გაკვეთილი.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედის შედეგად ასპინძის საშუალო სკოლაში ვერ ასწრებს 121 მოსწავლე (17,9%), ოშორის საშუალო სკოლაში—25(21.4%), ჭობარეთის საშუალო სკოლაში—48(25%), ხიზაბავრის საშუალო სკოლაში—101(29%), ნაქალაქევის საშუალო



სკოლაში—47(19,9%), დამალის საშუალო სკოლაში—159(26,5%), იდუმალის რვაწლიან სკოლაში—18(22,5%), ძეველი სენაკის რვაწლიან სკოლაში—19,7%, ვარგავის დაწყებით სკოლაში—8(25%), სულ რაოთნის სკოლებში შეფასებული 3191 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 667 მოსწავლე (19,5%). საგულისმოა, რომ ხიზაბავრის საშუალო სკოლის I კლასში ვერ ასწრებს 4 მოსწავლე, ასპინძის საშუალო სკოლაში—2 მოსწავლე და ა. შ.

მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების და ამით სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფიერების გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლისათვის დახმარების გაწევას თვით სწავლის პროცესში. ამ ამოცანის განსახორციელებლად ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. დიასამიძე სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს, თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებული დასამუშავებელი მასალის გადაცემას მოსწავლეებისათვის, რა უყირს, რა სიძნელეებს აწყდება იგი მუშაობის პროცესში და სხვ. იგი მასწავლებელს უნიტურებულად ეუბნება ნაკლებ და, ამასთან ერთად, უჩვენებს ამ ნაკლის გამოსწორების გზებს.

ასევე, მოსმენილი გაკვეთილების დამაკმაყოფილებელი ანალიზები აქვს ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში ნ. კუკავას, ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ზაზაძეს და ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორს პ. წინწკალაძეს.

ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ა. ზაზაძის, ნაქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გ. ბერაძეს, ხიზაბავრის საშუალო სკოლის დირექტორის გ. დათიაშვილის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში—ა. ველიჯანაშვილის, ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დ. მელიქიძის მიერ გაკვეთილებზე დასწრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ იძლევენ მასწავლებლებს შესაფერ მითითებებს. ხშირად მასწავლებლისათვის მიცემული მითითებანი ატარებს შაბლონურ, ფორმალურ ხასიათს. ამასთან, არის ზოგადი და სქემატური, ამასთან ერთად, მათ მხოლოდ 20—25 გაკვეთილი აქვთ მოსმენილი.

საშუალო
მართვისა
და განვითარების
სამინისტრო

ასპინძის, ნაქალაქევის, ტოლოშის, ხიზაბავრის საშუალო
სკოლებში მეთოდურად გაუმართავად არის შედგენილი განვითარების
ლეგის ცხრილი, სასწავლო დღეები თანაბარი სიძლიერის საგნებით
არ არის დატვირთული, ზოგა დღე ძნელიად ასათვისებელი საგნე-
ბით არის გადატვირთული, ზოგი კი შედარებით იოლად ასათვი-
სებელი საგნებით, ორი და სამსაათიანი დისციპლინები ცხრილში
უშუალესოდ არის მოქცეული, ერთ და ორსაათიანი დისციპლი-
ნები ორშაბათსა და შაბათს, ისიც მე-3 გაცვეთის ებად არის მი-
სუმოლი. ერთფეროვანი საგნები, მაგალითად, მათემატიკური დის-
ციპლინები. ან ენები ცხრილში მიჯრით არის მოქცეული, საგნების
სახელწოდებები ზუსტად არაა შეტანილი და ა. შ.

შ. ლომიძე (ხელმძღვანელი)

- გ. ბუთბუზი
- ჩ. ალუდიშვილი
- პ. მაისურაძე
- ჭ. კიკნაძე
- დ. კომილაძე
- ხ. თორაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ.
 31 იანვრის ბრძანება № 60

ჩრდილშეუს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმისარჩევლობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესხებ

განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიუან ირკვევა, რომ ჩრდილშეუს რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგურ კოლექტივებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩ. ტ. რებეჯის სწავლების შინაარსის სრულყოფის, საყოველთაო აგწლიან განათლებაზე გადასცლისა და სკოლების მატერალურებული ბაზის გახმტიულების მიზნით. მაგრამ მიღწეულ წარმატებებთან ერთად განათლების განყოფილებას გარკვეული ხარვეზები გააჩნია. იგი ვერ კიდევ ვერ იჩენს მკაცრ მომხმარებლობასა და თან მდევრობას სკოლების მუშაობაში შენიშვნულ ნაკლოვანება, აგრძელების განვითარებისათვის. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა სკოლების მუშაობაშიც.

აღნიშვნულ ნაკლოვნებათა გ მოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჩრდილშეუს განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. როდინავა):

ა) ვადამჭრელი ზომები განახორციელოს განათლების განყოფილებასა და სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სი ტემატურად შეისწავლოს და კაანალიზოს სკოლებში სასწავლო-აღმნიშრდელობითი მუშაობის მდგრადირება, სრულყოს მისი მართვის მეთოდები და მიაღწიოს სკოლებისაგან განათლების განყოფილების მიერ დასხულ ღონისძიებათა უმუო და ცროულ შესრულებას;

ბ) მტკიცე შრომითი დისციპლინა დაამყაროს მასწავლებელთა
რორის. ალკეთოს მათ მიერ გაჭვეთილების უმიზეზოდ გაცდების
შემთხვევები და კიდევ უფრო გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა
მოსწავლეთა ცოდნისადმი. შექმნას მოუთმენლობის ატმოსფერო იმ
მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ უპასუხისმგებლოდ
ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მიაღწიოს იმას, რომ თითოეული
მასწავლებელი სისტემატურად მუშაობდეს თავის თავზე, იმაღლებ-
დეს იდეურ-პოლიტიკურ დონესა და მეთოდურ თსტატობას;

გ) გაატაროს ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პრო-
ცესის შემოქმედებითად დაგეგმვისათვის, არ დაუშვას სამუშაო
გეგმით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობის არც
ერთი შემთხვევა. ამ მიზნით მკვეთრად გააუმჯობესოს შადასასკო-
ლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მეთოდები. მიაღწიოს
იმას, რომ სკოლის დორეგტორები, მათი მოადგილები სასწავლო
მუშაობის დარგში, ორგანიზატორები მტკიცე მომთხოვნელობას
იჩენდნენ მასწავლებლების მიმართ, მოითხოვდნენ მათგან მოვა-
ლეობის პირნათლად და გულდასმით შესრულებას, არ უზიგდე-
ბოდნენ ნაკლოვანებებს;

დ) მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების,
ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურის ამაღლების მიზნით
განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშობლური და რუსული
ენების სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. საბუნების-
მეტყველო საგნების სწავლების დონის საერთო ამაღლებასთან ერ-
თად იზრუნოს პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებისათვის;

ე) მიიღოს ზომები მოზარდი თაობის სწავლა-აღმზრდის საქ-
მეში სკოლისა და ოჯახის კივირიურთიერთობის შემდგომი
განმტკიცებისათვის, გადაჭრით აამაღლოს მშობელთა პასუხისმგებ-
ლობა მათი შვილების ქცევისადმი, მტკიცე დისციპლინის, სიბე-
ჯითისა და მაღალი ორგანიზებულობის ჩვევების გამომუშავების
საქმისადმი. მიაღწიოს იმას, რომ არცერთი მოსწავლე არ ჩებო-
დეს ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის გარეშე. იზრუნოს
გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოსწავლეთათვის მეცადი-
ნეობის, დასცენება-გართობისა და კვების სანიმუშო ორგანიზა-
ციისათვის. ამასთან, რეაგირების გარეშე არ დატოვოს მოსწავლე-
თა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები;

ვ) განსაკუთრებთლი ყურადღება მიაქციოს რაიონის სკოლე-
ბის კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ხელსაწყო-

თარიღებითა და ს.სწავლო მოწყობილობებით დაკომპლექტებული სარიცხვული სსრ კაშშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით; მიიღოს ზომები მომავალი სასწავლო წლიდან, ს-დაც ამის შესაძლებლობაა, სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადაყვანისათვის, არ დაუშეს გაკვეთილების პროგრამებით გათვალისწინებული თვალსაჩინოების, ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების გარეშე ჩატარება. იზრუნოს სკოლებში არსებული ხელსაწყო-იარაღების, სასწავლო მოწყობილობებისა და დგამ-ავეჯის მოვლა-პატრონობისათვის;

ზ) დასახოს ღონისძიებანი რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხელად გატარებისათვის, დაუყონებლივ ჩააბას სწავლებაში სასკოლო ასაკის ყველა მოზარდი და მიმდინარე ხუთწლედში უზრუნველყოს საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე ახალგაზრდობის გადაყვანის დასრულება;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლებში მასწავლებელთა კადრების შერჩევა-დანიშვნის საქმეს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას საგნის მასწავლებლად არასპეციალისტების დანიშვნა. აღკვეთოს სკოლაში ხელმძღვანელ თან მდებობაზე საგნის სუტად მცოდნე მასწავლებელთა დაწინაურება. ამასთან, განახორციელოს თათანადო ღონისძიებანი სკოლების ხელმძღვანელებად სხვადასხვა საგნის სპეციალისტებით დაკომპლექტებისათვის;

თ) რაიონის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს რაიონის მეთოდური კაბინეტის მუშაობა, გადაჭრით იღმოფხვრას საგნობრივი მეთოდგაერთიანებების შუშიობის პრაქტიკიდან ფორმალიზმი და მიაღწიოს იმას, რომ სკოლაში ჩატარებული ყველა მეთოდური ხსიათის ღოლი იმიერ ა ნამდვილად პასუხობდეს იხალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის პირობებში მასწავლებელთა თეორიული დონია და მეთოდური დახელოვნების ამოცანებს;

კ) იღნიშვნული ბრძნება და განათლების სამინისტროს ბრძანების მოხსენებითი ბარათი განიხილოს რაიონის ყველა სკოლაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, ხოლო მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმიმართ გაატაროს სათანადო აღმინისტრაციის წომები. ამასთან

ერთად, სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიოს მათ გადამდებრებულებული ფორმით. თუ ამის შემდეგაც ვერ გაართმევენ თავს მათზე დაკისრებულებული ფორმით, ვალეობას, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლონ ისინი სამუშაოდან.

2. საგნის სუსტი ცოდნისა და თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ლესიჭინეს I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ლ. მალანიას, უცხოური ენების მასწავლებელ ა. სიჭინავას, ფიზიკის—ალ. სიჭინავას, ახუთის საშუალო სკოლას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ეთ. შარტავას, დაწყებითი კლასების—ც. ჯიქიას, მათემატიკის—გ. გაბედაევას და პ. კვარაცხელიას, მუსიკის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ თ. ციბამუას, ჩხოროწყუს I საშ. სკოლის უცხოური ენების მასწავლებელ რ. ლემონჯავას, ისტორიის—გ. ცავას გამოცხადოთ ს. კვედური.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ჩხოროწყუს განათლების განყოფილების მიერ განი ავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან ახუთის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ვეგუა და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ძიმისტარაშვილი, ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მათემატიკის მასწავლებელი ნ. ალანია და რესული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. სიჭინავა.

განათლების განყოფილების გადაწყვეტილე ით ლესიჭინის I, მუსიკის, სარაჭნის, ნაკინის, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ხაშუმის, ლეწურწუმისა და ზუმის საშუალო სკოლებში სათანადო პირობების უქონლობის გამო გაუქმებული იქნა ფაკულტატიური მეცანეობა.

4. სკოლების სამმართველომ დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 4 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
 თ. გ. ლაშქარაშვილს

სკოლების სამშართველოს

მ თ ხ ს ს მ ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე
 რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი
 მუშაობის შემოწმების შედეგების შეხახებ

მიმდინარე წლის 21-დან 27 ნოემბრამდე საქართველოს სსრ
 განათლების სამინისტროს სკოლების სამართველოს ბრიგადამ სკო-
 ლების სამმართველოს უფროსის მოადგილის თ. ნიკოლაიშვილის
 (ხელმძღვანელი), მინისტრის თანაშემწის ლ. მამალაძის, ინსპექტო-
 რების გ. გიორგობიანის, ზ. ლომსიანისის, ე. ქურციკიძის, ლ. მნა-
 თობიშვილის, თ. მელქაძის, დ. მახარაძისა და თბილისის 129-ე
 საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორ-
 განიზატორის რ. გურგენიძის შემადგენლობით შეისწავლა ჩხო-
 როწყუს განათლების განყოფილების მუშაობა და ამავე რაიონის
 ლეისჭინეს I, მუხურის, ახტის, ჩხოროწყუს I საშუალო და ლე-
 დარსალეს რვაწლიან სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პრო-
 ცესის მდგრადიობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ ჩხოროწყუს განათლების განყო-
 ფილება (გამგე ვ. როდონათა) და მისი მეთოდური კაბინეტი სწორად
 არის დაკომპლექტებული კადრებით და ძირითადად დამაკმა-
 ყოფილებლად ანსორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს
 რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი. მიმდინარე წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმით განათლების განყოფილებას მინი-
 შველოვანი საკითხები პქონდა გათვალისწინებული, მაკალითად,
 რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კომ-
 პლექსური შემოწმება, ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანე-



ლოյგით მათემატიკისა და ფიზიკის სწავლება, სკოლებში დუო მუშაობის მდგომარეობა, სწავლების პროცესში მოწავლეთა ცოდნის შეფასება, მოსწავლეთა საძროთლებრივი აღზრდა, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა, საკონტროლო წერების ჩატარება მშობლიურ ლიტერატურასა და მათემატიკაში და სხვა. შეძოწების მომენტისათვის განათლების განყოფილების გეგმით გათკალისწინებული საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი შესწავლილი და განათლების საბჭოს სხდომებზე იყო განხილული. მთელი ორი საკითხები განხილულია აგრეთვე პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე (13/X და 15/XI).

ცნაპექტორთა მიერ წარმოდგეხილ მოსსენჯით ბარათებში საფუძვლიანად არის გაანალიზებული სკოლების მუშაობის ესა თუ ის მაარე. როგორც წესი, შემოწმების შედეგები განიხილება განათლების საბჭოს სხდომებზე და მიღებულ დადგენილებებში სწორი ღონისძიებებია დასაბული - გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ, ამასთას ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გახასალების განყოფილება ჯერ კიდევ მცაცრ მომთხოვნელობასა და თანაბარდევრობას ვერ იჩენს სკოლების მუშაობაში შენიშნულ ნაკლთა გამოსასწორებლად. ამიტომ სკოლების მუშაობაში შეინიშნება ის ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად განათლების განყოფილების მიერ თავის დროზე სათანადო ღონისძიებები იყო დასაბული. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას არ აქცევს სკოლის ხელმძღვანელთა სხვადასხვა საგნის სპეციალისტებით დაკომპლექტების საჭეს. შემოწმებულ სკოლებში დირექტორები და მათი ძოადკილები - სასწავლო მუშაობის დარგში უმეტესწილად ფილოლოგები და ისტორიკოსები არიან. ამიტომ იხალ პროგრამებსა და სახელმწიფო გადასვლის პროცესში სკოლების ხელმძღვანელები დათანადოდ კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საბუნებისმეტყველო ციკლის საკრების მასწავლებლებს და მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ახალიზები ფაქტიურად გაკვეთილის მსვლელობის მოკლე აღწერას წარმოადგენს.

დარღვევებია კლასებისა და გახანგრძლივებული დღის ჯეზების დაკომპლექტების საქმეშიც. მაგალითად, ჩხოროწყუს I საშეალო სკოლაში, რომელსაც ტიპიური პროექტით აგებული შენობა აქვს, ორი მეათე კლასის ნაცვლად (64 მოსწავლე) გახსნილია 30

— სამი, მუხურის საშუალო სკოლაში ნაცვლად ორი გახანგრძლივი გეგული დღის ჯაფუისა — სამი. თითქმის ყველა სკოლაში დაბრუნებულია ფაკულტატიური მეცადინეობის პრინციპი, ხშირად ფაკულტატიურ კურსს ამა თუ იმ საგანში ძალზე სუსტ მასწავლებელსაც კი ანდობენ და ფაქტიურად იგი მასწავლებელთა განაკვეთის შესავსებად არის გამოყენებული.

1972 წლის 1 სექტემბრისათვის რაიონის სკოლებში სახალხო-სამეცნიერო გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო 7283 მოსწავლე, ფაქტიურად აღმოჩნდა — 7212, ამრიგად, გეგმის შესრულებას დააკლდა 71 მოსწავლე.

1964—1965 სასწავლო წელს რაიონის სკოლებში პირველ კლასში ჩარიცხული 721 მოსწავლიდან 1972 წელს რვა კლასი დაამთავრა 653-მა მოსწავლემ. იქედან IX კლასებში სწავლას განაგრძობს — 572, პროფესიუნარი სასწავლებელში — 12, ტექინიკურებში — 15. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, განათლების განყოფილებას სერიოზული ღონისძიებების გატარება მართებს საყოველთაო ათწლიან სწავლებაში 54 რვაკლასდამთავრებული ხალგაზრდის ჩასაბმელად.

I მეოთხედის შედეგების მიხედვით რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასებული 6949 მოსწავლიდან ასწრებს — 5745, ვერ ასწრებს — 1212, 117 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 26 მოსწავლე. ამრიგად, პირველი მეოთხედის შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე, განსაკუთრებით დიდია აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სკოლებში ჯერ კიდევ სათანადო მუშაობა არ წარმოებს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, განათლების განყოფილების ენერგიული ღონისძიებების გარეშე (ამ მიმართებით ზოგიერთი რამ უკვე გაქვთებულია), ნათელი ხდება, თუ რა საშიშროება ემუქრება ამ ბავშვებს.

ჩხოროწყუს განათლების განყოფილებას და სკოლებს დაბრუნებული განათლების კანონის გასატარებლად, სკოლებში მოწესრიგებულია დოკუმენტაცია და მოსწავლეთა მოძრაობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1967—1968 სასწავლო წელს ახუთის საშუალო სკოლის IV კლასიდან გავიდა ა. კაჭარავა, რომლის სწავლებაში ჩაბმა დღემდე ვერ მოხერხდა.

გარევეული მუშაობაა ჩატარებული არასრულწლოვანიაზე დამუშავდა ნაშაულობისა და უზედამხედველობის აღსაკვეთად. ინიციატივის საკითხის შესახებ იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომაც. მიუხედავად ამისა, რაიონში 1971—1972 წლებში ადგილი პქონდა მოსწავლეთაგან მართლწესრიგის დარღვევის 14 შემთხვევას. თთქმის ყველა დანაშაული ჩადენილია ჩროროწყვეტის სკოლა-ინტერნატის, ლესიჭანის ჩაის საპროთა შეუზნებისა და პირველი საშუალო სკოლების მოსწავლეთა მეტო. განათლების განყოფილებისა და პედაგოგური კულტურული მეტო მიღებული ზომების შედეგად ამჟამად ყველა ამ მოსწავლეზე დაწესებულია სათანადო მეთვალყუფება და, რაც მთავარია, ისინი ჩაბმული არიან სწავლებაში.

სერიოზული ღონისძიებები ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 10 ივნისის № 312 ბრძანების „მართვა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაოპაზე, რომლებიც თავს არიდებენ სახარგებლო შრომას და ეწევიან პატაზიტულ, ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას“ შესასრულებლად; გისულ სასწავლო წელს საშუალო სკოლა დაამთავრის 500-და ათასობით დამ. სკოლებს აქვთ ზუსტი ცენტრი კურსდამდამიავრებულთა შემჯღვის საქმიანობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, განათლების განყოფილება და სკოლების ხელმძღვანელები გამარებიან კურსდამიავრებულებს პროფესიის შექნასა და შორმათ მოწყობაში.

დამაკამაყოფილებლად მუშაობს რაიონული შეთოდეკაბინეტი (კამები ა. ხორავა). სამუშაო გეგმა შედგენილია მასწავლებელთა დახელვნების ინსტიტუტის მეტო რეკომენდებული თემატიკის მიხედვით. ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება ექცევა მასწავლებლებთან მეთოდურ შეშაობას. განსაკუთრებით კარგად მუშაობს მათემატიკისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სექციები, რომლებიც სისტემატურად აწყობენ ამ საგნის მასწავლებელთა რაიონულ სემინარებს. მაგრამ, მეთოდეკაბინეტი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს სკოლებში მასწავლებელთა საგნობრივი მეთოდიართიანებების მუშაობას, რომლის დოხე სასურველზე დაბალია.

რაიონის განათლების განყოფილებას აქვს საკმაოდ მდიდარი ფილმოთვეკა, რომელსაც ამ საქმის ნამდვილი ენთუზიასტი ვ. ქვარცხავა ხელმძღვანელობს. ფილმოთვეკას უკვე 284 დისახელების კი-



ნოფილმი და კინორგოლი გააჩნია, სხვა თვალსაჩინოებაზე არაფერი ვთქვათ, მკრამ ფილმოთექას დახმარება ესაჭიროება, რაღაც მას არ გააჩნია ტექნიკურ საშუალებათა სადემონსტრაციო დარბაზი და სწავლებას ზოგიერთი ტექნიკური საშუალება (კიდოსკოპი, დიაპროექტორი „ლეტი“, ფირსაკრავი და სხვა).

უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზა. გასულ სასწავლო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ნაფიჩხაოს საშუალო სკოლის შენობა. მიშენებითი სამუშაოები წარმოებს მეცნიერის საშუალო სკოლაზე, ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლეგიურნობა საკუთარი სახსრებით აშენებს ოჩხომურის რვაწლიანი სკოლის შენობას. მიმდინარე სასწავლო წლის დასწყისისათვის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელონოებისათვის შეძენილ იქნა 8 ათასი მანეთის თვალსაჩინოება, ხელსაწყო-იარალები და სასწავლო მოწყობილობა, 19 ათასი მანეთის დგამ-ავეჯი. შემოწმებული სკოლებიდან, გარდა ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სკოლისა, ყველას დამაკმაყოფილებელი ბაზა გააჩნია. მაკრამ, გარდა ლედარსალეს რვაწლიანი სკოლისა, არსად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სასკოლო შენობების, დგ. მ-ავეჯისა და სასწავლო მოწყობილობების მოვლა-პატრონობას. მაგალითად, არასასიამოვნოდ გამოიყურება ჩხოროწყუს საშუალო სკოლის სპორტდარბაზი და სხვა.

ზამთრის სეზონისათვის სკოლები არ იყო მომარაგებული საჭირო რაოდენობის სათბობით და მიუხედავად სიცივეებისა, არცერთ შემოწმებულ სკოლაში არ იყო გათბობა.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში დაწყებითი კლასებისათვის გამოყოფილია შესაფერისი საქლასო ოთახები, მერხები მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებითაა შერჩეული, აქვთ საჭირო დახახულობის დაფები, მაგრამ საქმაო რაოდენობით არ გააჩნიათ დიდაქტიკური მასალები, სწავლების პროცესში ჯერ კიდევ არ არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს და სხვა.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს საშუალო სპეციალური განათლება აქვს, რომელთაგან უმრავლესობას, ახალ პროგრამებზე გადასცვლასთან დაკავშირებით, გავლილი აქვს დახელოვნების კურსები, მაგრამ მასწავლებლებს: მ. გეთიას (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), ბ. დარსალიასა და გ. შენგელიას (ლედარსალეს 8-წლიანი სკოლა), ვ. ჩიზ.



ქოვანს (მუხურის საშ. სკოლა) თითქმის 10—14 წელია, რაც დამაკმაყოფილებელი კურსები არ ვა ევლიათ.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას მასწავლებლები: მ. ჩიქოვანი (მუხურის საშ. სკოლა), მ. გეთია (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლა), ბ. დარსალია და ო. გაბედავა (ლედარსალეს რვაწლიანი სკოლა), ა. ახალაია (ჩხოროწყვეტის საშ. სკოლა), ზ. უვანია და ლ. ბეგია (ლესიჭინის საშ. სკოლა).

ცოცხლად და ხალისიანად წარმართა გაკვეთილი მასწავლებელმა მ. ჩიქოვანმა. ახალი მასალის ახსნისას მოხერხებულად გამოყენა თვალსაჩინოება, საქმაო ღრო დაუთმო გრამატიკულ მასალასა და და მოსწავლეთა გაბმული მეტყველების განვითარებაზე მუშაობას. კარგად არიან დაუფლებული წერა-კითხვის სწავლების ბევრით ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს I კლასის მასწავლებლები: მ. გეორგია და ბ. დარსალია. მასწავლებელ ა. ახალიას მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს II კლასში კლასგარეშე კითხვას, ცდილობს გაუძლიეროს მოსწავლეებს წიგნისადმი სიყვარული. საინტერესოდ ასსნა ახალი მატალა ქართულ ენაში მასწავლებელმა ზ. უვანიამ. მან კარგად წარმართა სალექსიკონო მუშაობა. საფუძვლიანად განუმარტა მოსწავლეებს სიტყვების: „ბაზიერთუხუცესის“, „სახლთუხუცესის“, „ფლოქვების“ და სხვათა მნიშვნელობები, მაგრამ მის ნაკლად უნდა ჩითვალოს, რომ იგი ნაკლებად ავარჯიშებს მოსწავლეებს ნაწარმოების III პირში თხრობაზე.

კარგად არის დაუფლებული დაწყებით კლასებში სწავლების ხერხებსა და მეთოდებს ლესიჭინეს საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის ახალგაზრდა მასწავლებელი ჯ. გულუა. მან ძალზე საინტერესოდ ჩაატარა მათემატიკის გაკვეთილი II კლასში, მიზნობრივად გამოიყენა თითოეული წუთი. ვიდრე დაფასთან გამოძახებული მოსწავლე მიცემულ დავალებას ასრულებდა, მასწავლებელი ჯ. გულუა დანარჩენ მოსწავლეებთან ზეპირ ანგარიშს ატარებდა, რომლის დროსაც ყურადღებას აქცევდა არა მარტო გამოანგარიშების სისწორეს, არამედ გამოანგარიშების სისწრაფესაც. სახელმძღვანელოში მოცემული ამოცანების ამოხსნასთან ერთად მოსწავლეები ავარჯიშა რიცხვითი ფორმულის მიხედვით ამოცანების შედგენასა და ამოხსნაზე. გაკვეთილის ბოლოს კი მან ხუთი მოსწავლის ცოდნა შეაფასა ნიშანზე. ასეთი მუშაობის შედეგია რომ II კლასის მოსწავლეებს კარგად აქვთ



შეთვისებული ჰეპირი და წერძთი გამოთვლების ხერხები. ამასთან ერთად, გამომუშავებული აქვთ დაკვირვებისა და მსჯელობის უნარი. დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მათემატიკას აგრეთვე ჩხოროშვილ 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი ფ. ჭევია და ლე-დარსალეს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი გ. შენგელია.

ერთეროვანი გაკვეთილი ჩატარა III კლასში მუხურის საშ. სკოლის მასწავლებელმა ვ. ჩიქოვანმა. მას შეუმჩნეველი დარჩა მოსწავლის მიერ დაფაზე არასწორად შესრულებული მაგალითი, რომელიც ასევე შეცდომით გადაწერეს მოსწავლეებმა საკლასო-სა-შინაო რევულებში. დაბალია ამ კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში.

მეთოდური დახელოვნება იქლია ლესიჭანეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის მასწავლებელს ნ. ზარანდიას. იგი თვით ვერ ახერხებს ამოცანის მოქლე ჩანაწერის გაფეთებას.

ასე მაგალითად: ღიღ—20 ლ.
 პატარა—4-ჯერ { X

რა თქმა უნდა, კლასისათვის გაუგებარი შეიქნა ამ ამოცანის პირობა. ცუდად წარმართა მასწავლებელმა აგრეთვე ამოცანის ანალიზი და ბუნებრივია, რომ ამ მარტივი ამოცანის ამოხ ნას მოსწავლებლები 20 წუთი მოანდომეს. ასევე, მეთოდურ დახელოვნებას საჭიროებს მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. კვარაცხელია.

უფერულად, ძალზე დაბალ დონეზე ხსნიან ახალ მასალას მასწავლებლები გ. უვანია (ახეთის საშუალო სკოლა) და თ. ჩიქოვანი (მუხურის საშუალო სკოლა). მასწავლებელ გ. უვანიას ახალი მასალის ახსნისათვის 15 წუთი დარჩა და ეს დროც მან უნაყოფოდ გამოიყენა,

სუსტად ერკვევა პროგრამულ საკითხებში ახეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ც. ჯიქია, იგი საფუძვლიანად არ არის გაცნობილი იმ სიახლეებს, რასაც მათემატიკის თანამედროვე პროგრამა ითვალისწინებს, ამიტომაც არის, რომ III კლასის მოსწავლეებს არ გააჩნიათ მყარი ცოდნა. მასწავლებელი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ამოცანის ანალიზს და მისი ამოხსნის დასაბუთებას, მოსწავლეებს გაუჭირდათ ორჯითხვიანი ამოცანის ამოხსნა. არასწორად ამუშავა მოსწავლეები აგრეთვე გეომეტრიულ მასალაზე.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უმრავლესობა არ იცავს მასწავლების წერითი მუშაობის ნორმებსა და სახეებს, არ ზრუნავს მოსწავლეთა წერითი კულტურის ამაღლებისათვის, გულდასმით არ ასწორებს რეფულებს, არ ამუშავებს მოსწავლეებს შეცდომების გასწორებაზე და სწავლების პროცესში არ იყენებს ისეთი სახის სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. მაგალითად, ლედარსალეს რვაწლიანი სკოლის III კლასში მასწავლებელ ტ. ფირცხალავის საკონტროლო წერის სახეებად აუზჩევია გადაწერა, კარნახი და არსებითი სახელების ბრუნება. უპასუხისმგებლოდ ასწორებს საკონტროლო წერის რეფულებს ც. ჯიქა (ახუთის საშუალო სკოლა), მოსწავლე ა. ჯლარკავახა და თ. ქებურიას ნაწერებში მას უამრავი შეცდომა გამოპარვია მხედველობიდან.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა შეთოდგართიანებების მუშაობა შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მასწავლებელთა ოსტატობის შემდგომ ამაღლებისა და დახელოვნების ამოცანებს. შედარებით უკეთ მუშაობს მეთოდგაერთიანებები ჩხოროწყუს I და ლესიჭინეს I საშუალო სკოლებში; გეგმებშიც აქტუალური საკითხებია გათვალისწინებული.

შშობლიურ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან: ლ. ყალიბიავა, კ. ფირცხალავა, ჟ. ლიბრაძე, ტ. ჩიქოვანი (მუხურის საშ. სკოლა), ი. კვარაცხელია (ჩხოროწყუს 1-ლი საშ. სკოლა), ს. მირგატია (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს და უახლესი მეთოდებისა და ხერხების მომარჯვებით წარმატებით ძლევენ ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლით წამოჭრილ დროებით სიძნელეებს, თუმცა მათ გარკვეული სარვეზებიც გააჩნიათ მუშაობაში. მაგალითად, მოსწავლეები, მართალია, დამაკმაყოფილებლად ფლობენ პროგრამულ მასალას, მაგრამ ჯერ კიდევ სასურველზე დაბალია მათი გამომეტყველებითი კითხვის დონე და წერის კულტურა. საშინაო დავალებათა შემოწმებაც ზერელე ხასიათს ატარებს. მასწავლებლები ი. კვარაცხელია და ნ. სიჭინავა დამწყები პედაგოგები არიან, მათ აქვთ საკმაო თეორიული განათლება, მაგრამ ესაჭიროებათ მეთოდური დახმარება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი სკოლური გის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუხლების ნაწილს სუსტ თეორიულ ცოდნასთან ერთად დაბალი მეთოდური მომზადება გააჩნია. ეს მასწავლებლები დიდი ხნის წინათ მიღებული ცოდნით შემოიფარგლენენ და წინ არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

ყოველგვარ ეფექტსა და მიმზიდველობას იყო მოკლებული ეთ. შარტავას, არს. ვეკუას (ახუთის საშ. სკოლა) და ნ. ახალიას (ჩხოროვე 1-ლი საშ. სკოლა) მიერ ჩატარებული გაკვეთილები.

ახენის საშუალო სკოლის VIII და X² კლასებში, სადაც ეთ. შარტავა ასწავლის, მშობლიური ლიტერატურა უკვე რამოდენიმე წელია ახალი პროგრამებით ისწავლება, მაკრამ აღნიშნულ გაკვეთილებზე არათუ სიახლე, გაკვეთილის ჩატარების მინიმალური წესებიც კა არ იქნა დაცული. ძალზე სუსტი იყო მის მიერ VIII კლასში ჩატარებული გაკვეთილი. გაკვეთილის თემა იყო „შეკრატარიელისა და ავთანდილისა“. მასწავლებელი თხრობის პროცესში უშვებდა უხეშ ენობრივ შეცდომებს („თინა ინი შინაარსით უცხო მოყმის ძებნას ავალებს...“, „შემდევ ისევე იბარებს...“, „მე დაგვცდები ი ე, როგორც მე სხვა ქმარი არ მინდა...“, „ნესტანი და ტარიელი რომ შეერთდებოდნენ, ეს იქნებოდა მათი ვნებებს და გმაყუფვალება...“ და ა. შ. მასწავლებელმა არ იცის, როგორ წარმართოს მატურული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა, ვერ ახასიათებს ჰერხონაუებს, არ იწარმოებს ლექსიკურ მუშაობას, ყოველივე ამის შემდეგ, მან ახალი მასალის შინაარსთან ერთად, უცხაური დავალებაც მასცა მოსწავლეებს — ილუტრაციის შესრულება — როგორ დაახრჩო ტარიელმა ვეფხვი(?!). ზემოაღნიშნულის გამო, კლასი ძალზე სუსტ ცოდნას ამჟღავნებს. მოსწავლეებმა არ იციან საზეპირო აფგალები, ვეფხისტყაოსნიდან“, წარმოდგენა არ აქვთ ნაწარმოები მხატვრულ მხარეზე. ვერ დაასახელეს მეტაფორის ვერცერით ნიმუში, ვერ გაისსენეს „შუშანიკის წამების“ ავტორის ვაზაობა და სხვ ანალოგიურად ჩატარდა გაკვეთილი X² კლასში (გაკვთება: „ცალთვალა დევე“ მის ჯავა იშვილის „არსენ მარაბდელიდან“). აქც ლიტერატურული მასალის არცოდნა გამოავლინეს როგორც მოსწავლეებმა, ისე მასწავლებელმაც. თვით მასწავლებლის მეტყველებიდან ძნელია რამდე აზრის გამოტანა: — „ი. ი. მორალურად რყენიან ქართველების მორალს...“ — „არსენა, როგორც რაზმის უფროსი, მაინც ზაალ ბატონი მეფის რესეთის

შნარეზე იყო...“, „არსენას ვერდით არის სხვადასხვა ეროვნული განკულტურული მასალათისა— მოსწავლეები ვერ ერკვევეთან შ. დადიანის „თეთნულდის“ დედა-აზრში და ა. შ.

წერითი ნამუშევრები უგულისყუროდაა გასწორებული და ადგილი აქვს გადაწერის შემთხვევებს. მაგალითად, ერთმანეთისა-გან გადაწერილი ორი თხზულება მასწ. ეთ. ზარტავას „4“-ზე შეუფასებია.

სუსტად ჩაატარა მშობლიური ლიტერატურის გაქვეთილი IX² კლასში ახუთის საშ. სკოლის დირექტორმა არს. ვეკუამ. ვერც ამ კლასის მოსწავლეებმა გამოამულავნეს სათანადო ცოდნა, მეტყველებდნენ ცუდად, ყოველგვარი გამოშეტყველების გარეშე, რაშიც ტონს თვით მასწავლებელი აძლევდა (აი, მისი მცტყველების ნიმუშები: „ჩაიყო ხელი ჯიბაში...“ „რომელი დარგის ნაწარმოებს ჰგავს „სოლომონ ისაკის მეჯლანუაშვილი?...“, „ეს მაინცდაიანც არ უთხრობია“, „სოლომონის ღონისძიება გვარის აწევის შესახებ?“ და სხვ.) მასწავლებელმა მთელი გავვეოილი საშინაო დავალების გამოქითხვას მოანდომა, ხოლო ახალი მასაც ის ახერა შესვენებაზე დაიწყო. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი გაქვეთილის ეფექტურობასა და მის მეორეულ გამართულობაზე.

სუსტად მუშაობს ლესიშვილეს 1-ლი საშუალო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწ. ლიმირ მალანია. ახალი მასალის ახსნის დროს უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს, ხმარობს პარაზიტ სიტყვებს („ქაშუეთის ეკლესია თბილისში მდებარეობს, სადაც არის დაკრძალული ხოლმე გრიგოლ ორბელიანი...“, „ლავრენტი არდაზიანის სახლი ახლაც არის დაცული ხოლმე თბილისში...“, „აკაკიმ აქვე გაიცო ხოლმე ლ. არღაზიანი“). IX კლასში, სადაც ლ. მალანია ასწ. ვლის, მასთან შეთანხმებით ჩავატარეთ საქონტროლო წერა თემაზე— „საქართველოს რეაქტორი შეერთების საკითხი 6. ბარათაშვილის შემოქმედებაში“. მასწავლებლის მიერ გასწორებული ნამუშევრების გადასინჯვათ აღმოჩნდა, რომ ნიშნები აშკარად აწეული იყო. მაგალითად, ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარში, რომელიც „4“-ზე იყო შეფასებული, ლ. მალანიას შეენიშნავს მხოლოდ ოთხი შეცდომა, დამატებით კი აღმოჩნდა— 36. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ნაწერებშიც.

სუსტად ასწავლის საგანს მასში. 6. ახალია (ჩხოროწყვეტილი 1-ლი საშ სკოლა). მართალია, მასწავლებელი ცდილობს გაკვეთის თეორიული მომზადება და მეთოდური დახელოვნება. 6. ახალია დამწყები მასწავლებელია, ამასთან ერთად, მეხუთე ჯურსის სტუდენტიც, ამდენამ, მისი გაპიროვნება V კლასზე, საჭაც გარკვეული სიძნელეებია ააალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით, უდაოდ სკოლის დირექციის შეცდომად უნდა ჩათვალოს. იგი სკოლის ხელმძღვანელებისა და გამოცდილი კოლეგიების სისტემატურ დახმარებას საჭიროებს.

შემოწმებული სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მოსწავლეები ჯერ კიდევ არ არიან დაუფლებული გამომეტყველებით კითხვის ტექნიკას, ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინოების გამოყენებას, თითქმის მთლიანად უყურადღებოდა მიტოვებული წერითი საშინაო დავალებების რვაცლები.

დამაქმადიფილებლად მუშაობს ჩხოროწყვეს I და ლესიშინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საკონბრივი მეთოდგაერთიანებები. ოქმატიკის გადახალისებას საჭიროებულ მუხურისა და ახლოის საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებების სამუშაო გეგმები. მათში საჭიროა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების უფრო აქტუალური სკითხების გათვალისწინება.

რესული ენისა და ლიტერატურის მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია მოწვევულოვანი ნაწილის მეტყველების კულტურა. ამა თე იმ სიტყვის მცდარს დაწერილობა ხშირად გამოწვეულია არა იდურად ორთოგრაფიისა და ფონეტიკის სუსტი ცოდნით, რამდენადაც ერთის უცოდინარობით. ზოგიერთი მასწავლებელი დღემდე ვერ გარკვეულა ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების თავისებურებებში და ერთის შემოქმედებითი სწავლების, მოსწავლეთა აზროვნების, ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების ნაცვლად მიმართავს ზეპირობასა და სიტყვების მექანიკური დამასხვრების დიდი ხნის წინათ უარყოფილ მეთოდებს. ყოველივე ამის შედეგად, მოსწავლეები დაზეპირებულ გრამატიკულ

წესებს ვერ იყენებენ თხრობისა და წერის პროცესში, ვერ არ ხებენ მარტივი წინადაღებების შედგენასა და თავიანთი სიტყვების წაკითხულის შინაარსის გადმოცემას.

მოსწავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევრების შემოწმებით გამოვლინდა, რომ თითქმის ყველა მასწავლებელი ზერელედ ასწორებს მოსწავლეთა ნაწერებს, მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებში დიდი რაოდენობითაა დარჩენილი ვაჟსწორებელი შეცდომები. კიდევ მეტი, ზოგიერთი მასწავლებელი საერთოდ არ ატარებს საკონტროლო წერებს ან წერის ნიშნები არ შეაქვს საკლასო უურნალებში. მაგალითად: ჩხოროწყუს I საშუალო სკოლის მასწავლებელს რ. ფიჩხაიას, რომელიც V, VI, VII და VIII კლასებში ასწავლის რუსულ ენასა და ლი ერატურას, საკონტროლო წერის არც ერთი ნიშანი არ ჰქონდა შეტანილი საკლასო უურნალში. ვერ ფლობს ენაზე და მისი სწავლების მეთოდებს ამავე სკოლის მასწავლებელი მ. ფირცხალავა.

ანალოგიური მდგომარეობა აქვს ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო და ლედარსალეს რვაწლიანი სკოლების მასწავლებლებს ვერა სიჭინავასა და მ. ვაგუას, ვ. უჩანეიშვილს, მ. ფირცხალავას. განსაკუთრებით სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს ვ. უჩანეიშვილი..

ლესიჭინეს I საშუალო სკოლაში რუსული ენის გაცემის ფაქტურად სხვა საგნის მასწავლებელთა განაკვეთების შესავსებად არის გამოყენებული. მაგალითად, რუსულ ენას ასწავლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლ. მ. ლანდა, რომელიც ცუდად ფლობს ამ ენას. რუსულ ენას არადამაყმაყოფილებლად ასწავლიან ივრეოვე თავიანთი საგნების გარე სპეციალისტები, მათემატიკოსი ვ. ლაშია და დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვ. გულეა. ძალზე სუსტად მუშაობს მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ცირამუა. ის ვერ ფლობს ენასა და მისი სწავლების მეთოდებს, IV კლასში ახალი მასალის ახსნის დროს უშვებდა უცემ ენობრივ, შეცდომებს.

სერიოზული ხარვეზები გააჩნია მუშაობაში ე. სიჭინავას (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), ი. ჯიქიას (ახუთის საშ. სკოლა), მ. კვარკველიას (ჩხოროწყუს I საშ. სკოლა), ნ. გოგუასა და მ. ვახნიას (ლედარსალეს რვაწლიანი სკოლა).

ზემოაღნიშნულ მასწავლებელთა სუსტი მუშაობა მიუტევებელია იმიტომაც, რომ მათ გვერდით არიან ისეთი მასწავლებლები,

რომელთა თეორიული მომზადება და მუშაობის მეთოდები ყოველი მხრივ მისაბაძი უნდა გამხდარიყო გათვის. როგორც ჩანს, რომ საქმეში სცოდავენ შეზომებული სკოლების ხელმძღვანელებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ მოწინავე პედაგოგების გამოცდილების განხოგადებისა და სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობაში დანერგვისათვის.

საფუძვლიანად არიან დაუფლებული ენას და გაკვეთილებსაც შემოქმედებითად ატარებენ რ. სიჭინავა (ლეიკინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის სკოლა), ნ. საჯაია (ახუთის საშ. სკოლა), ლ. ნაჭყებია (ჩხოროწყუს I საშ. სკოლა), ლ. ვეკუა (ლეისიჭინეს I საშ. სკოლა), ი. ჩიქვანი (მეტერის საშ. სკოლა) და სხვები.

მათ მოსწავლეებს დამაკმაყოფილებლად აქვს ათვისებული პროგრამებით გათვალისწინებული მასალა. შეგნებულად, ლოგიკური თანმიმდევრობით არჩევენ წინადადებებს, ოვიანთი სიტყვებით გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს და ა. შ.

რაონის სკოლებში რუსული ენის სწავლებაში შენიშნული ნაკლოვანებები, ზემოაღნიშნულ სხვა მიზეზებთან ერთად, იმითაც არის გაპირობებული, რომ ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებები ჯერ კიდევ ფორმალურად მუშაობენ და ვერ პასუხიბენ მასწავლებელთა თეორიული და პროფესიული დასელოვნების დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

ჩხოროწყუს რაონის სკოლებში ორი უცხოური — ვერმანული და ინგლისური ენები ისწავლება. შემოწმებით დადაინდა, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ემზადება გაკვთილებისათვის და მას საინტერესოდ ატარებს. მაგალითად, კარგად ფლობს გერმანულ ენას და მისი სწავლების უახლეს მეთოდებს მუშარის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ცირამუა. იგი გაკვეთილებს უცხოურ ენაზე ატარებს და მისმა მოსწავლეებმაც ენის დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამულავნეს. მათ ესმით მასწავლებლის საუბარი და მის მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხს იძლევიან.

სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის და არ იცნობს უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს ლეისიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი რ. ლემონჯავა. VII კლასის მოსწავლეებმა კითხვაც კი არ იციან და ვერც მარტივ კითხვებზე იძლევიან პასუხს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მასწავლებელი გერმანულ ენას VII



კლასში 1963 წელს გამოცემული სახელმძღვანელოთი ასწარმომავალი ხოლო VIII კლასში კი—1968 წლის გამოცემით. არ ასწორებს საშინაო დავალებებსა და სიტყვარების რვეულებს.

ლესიჭინეს I საშუალო სკოლაში ინგლისურ ენას ორი მასწავლებელი—ტ. იზორია და ა. სიჭინავა ასწავლის. ტ. იზორია არ ემზადება გაკვეთილებისათვის და მოლოდ კათხვისა და თარგმნის მეთოდით იფარგლება, V კლასში მისმა მოსწავლეებმა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამყავნეს, მაგრამ სამაკიეროდ ძალზე დაბალია მეცხრეკლასელთა ცოდნა ვერ ფლობს ენას და მეტყველების დროს უხეშ შეცდომებს უშვებს ა. სიჭინავა. ორივე მასწავლებელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს საშინაო დავალებებისა და სიტყვარების რვეულების წარმოებას.

ჩხოროწყუს I საშუალო სკოლაში ინგლისური და გერმანული ენები ისწავლება. ინგლისურ ენას ნ. თოლორდავა და ს. კვარაცხელია ასწავლიან. ნ. თოლორდავა დამაკმაყოფილებლად ფლობს ენას. მაგრამ სწავლების პროცესში არ იყენებს ახალ ხერხებსა და მეთოდებს, თვალსაჩინოებას. ს. კვარაცხელიამ კი ძალიან სუსტად იცის ენა და რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარეობს ყველა არასასურველი შედეგი.

მეთოდურ დახელოვნებას საჭიროებს ახუთის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ს. ახალია. მართალია, მისი მოსწავლები დამაკმაყოფილებლად ფლობენ უცხოურ ენას, მაგრამ გაკვეთილები ჯერ კიდევ ძველი მეთოდებით ტარდება, ამასთან, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე.

ლედარისალეს რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ა. ახალია შემოწმების დღისათვის სკოლაში არ გამოცხადებულა გაურკვეველი მიზეზის გამო, ხოლო ნაფიჩხაოს საშუალო სკოლაში, სადაც ის შეთავსებით მეშაობს, გაკვეთილები ჩაუტარებია. შემოწმებულ იქნა მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულები. წერის ნორმები შესრულებულია, მაგრამ არასწორად არის შერჩეული თემატიკა, რვეულებში დიდი რაოდენობითაა გაუსწორებლად დატოვებული უხეში შეცდომები. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა ნაშრომები ძალზე ლიბერალურადაა შეფასებული.

რაიონის სკოლებში არსებობს უცხოური ენების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები, მაგრამ გეგმებში არ არის შეტანილი უცხოური ენების სწავლების მნიშვნელოვანი საკითხები.

წაკითხული თემებიც არადამაკმყოფილებელია და რაიმე არსებოსაც ხასიათის დახმარებას ვერ გაუწევენ მასწავლებლებს.

ჩხოროწყუს რაიონის შემოწმებულ სკოლებში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში გარკვეული ხარვეზები შეინიშნება. ის მასწავლებლებიც კი, რომლებც სათანალოდ ფლობენ საგნის თეოზიულ კურსს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სწავლების მეთოდურ მხარეს და ძალზე დუნედ ეფულებიან ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესატყვის სწავლების თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს, რის გამოც გაკვეთილების უმრავლესობა ერთჯეროვანია და ხელს ვერ უწყობს მოწავლეებში ამ საგნისაღმი სიყვარულისა და ინტერესის გაღვივებას. მასწავლებელთა მეორე ნაწილი კი ნაკლებად ზრუნავს თავისი თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და სწავლების ხერხებისა და და მეთოდების სრულყოფისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას, მხატვრულ ლიტერატურას, ქრესტომათიებს, ვერ ახერხებს აღვილობრივი მასალებით გაკვეთილის გამდიდრებას. საერთოდ, ისტორიის გაკვეთილებზე, მიუხედავად განათლების სამინისტროს საინსტრუქციო მითითებისა, სათანადო ყურადღება არ ექცევა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და სწავლების საქმეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გაკვეთილის თემა უშუალო შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ამის გამო საგრძობლად დაბალია ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის როლი მოზარდი თაობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიძრალებისა და მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია სწავლებაში ლეისიჭინეს ჩაის საბჭოა მეურნეობის საშუალო სკოლის ორგანიზაციას და ისტორიის მასწავლებელს ვ. ცავას. გამოკითხვის პროცესში იგი ვერ ახერხებს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებას და მთელი კლასის მუშაობაში ჩაბმას, რაც ძირითადად საშინაო დავალების გამოკითხვის მეთოდიების სრული უგულვებელყოფით აიხსნება. გამოძახებული სამი მოსწავლიდან მასწავლებელმა სამივეს თავიდან ბოლომდე მოაყოლა გავეთილი — „გალიზ-ვოლინის სამთავრო“, „რუსეთის ფეოდალური დაქუცმაცებულობის შედეგები“ და არცერთის ცოდნა არ შეუფასებია. დაუშვებლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ისტორიის გაკვეთილი ყოველგვარი თვალსაჩინოებისა და განსაკუთრებით კი რუკის გარეშე ჩატარდა. მოსწავლეებმა არ



იცოდნენ კიევის სახელმწიფოს ცალკეულ სამთავროებად და მის შეზები, ფეოდალური დაქუცმაცებულობის დადგებითი და უკოყოფითი მხრეები და ა. შ. ახალი მასალის — „ფეოდალიზმის განვითარება ამიერკავკასიაში“ ახსნისას შემოიფარგლა მნილოდ სასკოლო სახელმძღვანელოთი. მო წავლეთათვის არ მიუცია წერითი საკონტროლო დავალება.

ზემოაღწერილი გაკვეთილის ასლს წარმოადგენდა მუხურის საშუალო სკოლის VII კლასში მასწავლებელ თ. ცირამუას მიერ ჩატარებული გაკვეთილი. აქაც ყურადღება ძირითადად სამ მოსწავლეზე გამახვილდა; რომელთაგან ორს თ. ცირამუამ თავიდან ბოლომდე მოაყოლა გაკვეთილი. მოსწავლეებმა სათანადო თანმიმდევრობის გარეშე გაღმოსცეს გაკვეთილი — „მონღლოლ თათართა შეაოსევის დასაწყისი“, ვერ განმარტეს მონღლოლ-თათართა გაძლიერება-დაწინაურებისა და მათ მიერ ეკონომიკურად და კულტურულად უფრო დაწინაურებული აზის, ამიერკავკასიის ქვეყნებისა და რუსთა სამთავროების შედარებით იოლად დაბყრობის მიზები. ძალზე ულიმლამოდ იქნა ახსნილი ახალი მასალა — „რუსი ხალხის ბრძოლა მონღლოლ-თათართა შემოსევის წინააღმდეგ“. ამასთან, თხრობის პროცესში მასწავლებელი სშირად უშვებდა როგორც ენობრივ, ისე ფაქტობრივ შეცდომებს (რკალვაზე ომი წაავთ რუსეთმა, მაგრამ არც მონღლოებს დაადგათ კარგი ღლე). ისინიც უგზო-უკველოდ გაქრნენ, „მიმდინარეობდა მონღლოლების რეორგანიზაცია“, „რუსეთის თავიდანვე ეწერათ, რომ ყოფილიყვნენ მოთავენი ევროპის ხალხებისათვის“, „ჩინგის ყაენის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი გახდა ბათო-ყაენი“ და ა. შ.).

ისტორიის სწავლებაში გარკვეული ნაკლოვანებებია აგრეთვე ლესიჭინეს I საშუალო სკოლაშიც, სადაც ამ საგანს მასწავლებელი პ. ჯალალონია ასწავლის. პედაგოგი ფლობს საგანს, მაგრამ სწავლებას პროცესში ჯერ კიდევ არ იყენებს სწავლების აქტიურ ხერხებსა და მეთოდებს. გაკვეთილის უმეტეს ნაწილს გამოკითხვას უთმობს და ახალი მასალის ახსნისას საკრაო დრო არ რჩება საკვანძო საკითხების ღრმა ანალიზისა და ცალკეულ ისტორიულ ცნებათა სათანადო გაშლისათვის. ვფიქრობთ, ამის მიზეზია ის, რომ მერკეკლასელებს საქმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ წარმოების საშუალებებისა და მწარმოებლური ძალების სტრუქტურაზე, ხაზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვალება-ცობის შინაგან მექანიზმებზე, ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში მოწინავე

იდეების როლსა და დანიშნულებაზე. აქედან გამომდინარე, მოსწავლის წავლები სათანადო სიღრმით ვერ ჩაწერნენ გაკვეთილის თემა— „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითადი იდეების არსა და მუშათ კლასის პირველი მარქსისტული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის მნიშვნელობას“. ამავე მასწავლებელმა IX კლასში ახალი მასალის ახსნის დროს რატომლაც გამოტოვა თემა— „კულტურა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში“. X კლასში უხსლესი ისტორიის სწავლების დროს, მისი შემცნებითი და ემოციური მაარის გაძლიერების მიზნით, სკოლის დირექტორმა ბ. ხორავამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს როგორც საუკუნის მასალების, ისე ფოტო და კინოდოკუმენტების, მხატვრული ლიტერატურის უართოდ გამოყენების საქმეს.

ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაში ანალოგიური მდგომარეობაა. ასუთის საშუალო სკოლაშიც მასწავლებელი მ. ნარსა დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს, მაგრამ გაკვეთილებს ერთფეროვნად, თვალსიჩინოების გარეშე ატარებს. მაკალითად, IX კლასში პირველი მსოფლიო ომისა და VIII კლასში „კომუნისტური პარტიის“ II თავის გამოყითხვის დროს კედელზე ეკიდა თანამედროვე მსოფლიოს რუკა, რომელიც ერთხელაც არ გ-მაყეყნებიათ. მეათეკლასელებმა სუსტად იცოდნენ საზოგადოებათმცოდნეობაში გაკვეთილი— „კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ“. სათანადოდ ვერ დაახსიათეს გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები, ვერ დაახსელეს ვ. ი. ლენინის ნაშრომები, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნა ერთ ქვეყნაში სოციალიზმის აშენების გეგმა.

მერთალაუ ჩატარდა ისტორიის გაკვეთილები ლედარსალეს რეაწლი ნი სკოლის (მასწავლებელი ლ. ლორია) VII და VIII კლასებში. მოსწავლეებმა ვერ გამოავლინეს განვლილი მასალის შეგნებული და საფუძვლიანი ცოდნა. მასწავლებელი მუშაობის პროცესში უშევებს ისეთიც ხასიათის შეცდომებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, ტიპიური გამხდარი შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ხათვის.

ჩხოროწყუს I საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებმა (მასწავლებელი გრ. პაპავა) საკმაოდ ზერელედ იცოდნენ გაკვეთილი— „ჩინეთის 1911—1913 წლების რევოლუცია“. გამოძახებული სამი მოსწავლიდან (რომელთავან არც ერთს ცოდნა არ შეფასებულა) ვერცერთმა ვერ განმარტა, რა იყო რევოლუციის ძირითადი

მიზეზები და რა ამოცანები უნდა გადაეჭირა მას, ვერ ახსნეს ავტომატური რეაციების პროცესში კლასთა ურთიერთდამოკიდებულების ბის ცვლის მიზეზებიც. გამოყითხვის ძალზე გაჭიანურების გამო ახალი მასალის—„ინდოეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ ახსნას გრ. პაპავაშ 15 წუთი მოანდომა, ისე რომ ერთხელაც არ გამოუყენებია რუკა (სხვა თვალსაჩინოებაზე რომ არაფერო ვთქვათ) და ვერც ახსნილის განმტკიცება მოასწრო.

დამაკამაყოფილებელი ცოდნა გამოაყელავნუს იმავე სკოლის მეათეკლასექლებმა, რომლებსაც ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობას დირექტორის მოაღილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. მალანია ასწავლის.

ჩხოროწყუს რაიონის შემოწმებულ სკოლებში მოსმენილი ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებიდან თავისი თეორიული დონით და მეთოდური სრულყოფით გამოიჩინა ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და მუხტის საშუალო სკოლების დირექტორების ა. სიჭინავასა კ. ჩიქოვანის მიერ ჩატარებული გაკვეთილები. ორივე პედაგოგი კარგად ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს და, რაც მთავარია, ყოველ გაკვეთილს საინტერესოდ, მიმზიდველად, გამართული ლიტერატურული ენით ატარებს, რაშიც უდაოდ გადამწყვეტ როლს თამაშობს ფართო ნაკითხობა. მათ მხედველობიდან არ რჩებათ საპათორამი მასალის აღმზრდელობითი მხარეც და მიზნობრივია იყენებენ მას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური წრთოსისათვის. დაძაბული პედაგოგიური შრომის შედევიც ნაყოფიერია: მოსწავლეებმა ღრმად, შეკრებულად იციან როგორც განვლილი, ისე ახალი მასალა.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ კ. ჩიქოვანისა და ა. სიჭინავას, როგორც ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მოწინავე მასწავლებლებს, დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ თავიანთი კოლეგებისათვის, ხოლო როგორც სკოლის ხელმძღვანელებს, მეტი მომახვილეობა მართებთ.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მრალ დონეზე სწავლების საქმეს დიდად აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ სწავლების პროცესში მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა არ იყენებს თემატიკურ რუკებს, ილუსტრაციებს, ალბომებს, დიაგრამებს, სქემებს, პლიკაციებს. მიუხედავად რაიონში არსებული შესანიშნავი ფილმოთეკისა მასწავლებლებს აქედან ჯერ კიდევ იშვიათად გააქვთ კინოფილმები,



დიაპოზიტივები, კინორგოლები, გრამფირფიტები, დიაფილმები და სხვა. არ შეიძლება ერთ გარემოებასაც არ მივაჭიოთ ყურადღება, ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში ყოველი პარაგრაფის შემ. დეგ მოცემულია საგარჯიშოების მთელი სისტემა, რომელთა დანიშნულება მოსწავლეთა აზროვნებისა და წერითი მეტველების განვითარება, მაგრამ შემოწმებულ სკოლებში, როგორც წესი, მოსწავლებს არ აძლევენ წერით საშინაო დაგალებებს.

სათანა თ ყერადღება არ ექცევა ისტორიის მასწავლებელთა მეთოდგარებითიანების მუშაობას, სხდომები არარეგულარულად ტარდება. ხოლო წაკითხული მოხსენებები უხარისხოა და ვერ პასუხობს მითხოვნებს.

რაოდნის შემოწმებულ სკოლებში მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სერიოზულად, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სისტემი ტურად იღრმავებს თეორიულ ცოდნასა და სრულყოფს სწავლების მეთოდებს. ამ მხრივ გამოიჩინებან მასწავლებლები: ი. გოგინავა, გ. ლაშხია (ლესიჭინეს I საშუალო სკოლა), მ. სიჭინავა (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), ი. ლემონჯავა, ნ. გახარია, ფ. ცირამეა (მეცხრის საშუალო სკოლა), თ. პერტაია (ჩხოროწყვს I საშუალო სკოლა). ამ მასწავლებელთა მონაცემებული და ნაყოფიერი შრომის შედეგად საკმაოდ მაღალია მათი მოსწავლეთა ცოდნას დონე მათემატიკაში. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ი. გოგინავა, ომელიც ლესიჭინეს X საშუალო სკოლაში IX და X კლასებში მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ასწავლის, მაგრამ ამ მოწინავა მასწავლებლების გვერდით გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად ფლობენ საგანს, საფუძვლიანად არ იცნობენ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, არ კითხულობენ მეთოდურ ლაცებაზურას, ამრომაცაა, რომ მასწავლებლების: ბ. შენგვლიას, ნ. ალანიას (ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლა), პ. კვარაცხელიას, დ. ვეჯუას, ვ. გაბედავას, გ. საჯაიას, ე. ბარამიას (ახუთის საშუალო სკოლა), ქ. თოდეას (ლედარსალეს რვაწლიანი სკოლა) არადამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ მუშაობაში. სუსტად იციან განვლილი მასალა ლესიჭინის საშუალო სკოლის IV და VI კლასების მოსწავლეებმაც. რომლებსაც მასწავლებლები თ. ჯანჯღავა და ლ. ქარჩავა ასწავლიან.

ახუთის საშუალო სკოლის V კლასში (მასწავლებელი ვ. გაბედავა) ჩატარებულ იქნა საკონტროლო წერა. მოსწავლეებს ამო-



ცანები და მაკლიოთები განვლილი მასალიდან მიეცათ, მაგრამ მოსწავლიდან ერტერთმა ვერ შეძლო დავალების შესრულება, ყველას ნამუშევარი „2“-ზე იქნა შეფასებული. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის სამი მოსწავლე, რომელთაც მათემატიკაში მეოთხედური შეფასება „4“-აქვთ. ასეთივე ცუდი შედეგით დამთავრდა საკონტროლო წერა ამავე სკოლის X¹ კლასში (მასწავლებელი პ. კვარაცხელია). მეათეკლასელებს საკონტროლო წერისათვის მიეცათ ის ამოცანები და მაგალიოთები, რომლებზეც I მეოთხედში პარალელურ კლასს საკონტროლო წერა ჩაუტარა მასწავლებელმა. მიუხედავადაც ამისა, 14 მოსწავლიდან (6 მოსწავლე არ ესწრებოდა) თოთხმეტივემ „2“ დაიშანებურა. ამავე მასწავლებელმა დაბალ დონეზე ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი X² კლასში, კლასმა სუსტად იცოდა გაკვეთილი „პრიზმის მოცულობა“. გამოს ხებულმა მოსწავლეებმა ვერ ააგეს სათანადო ნახაზი, ვერ დაასაბუთეს განხილულ სამკუთხელში რატომ იყო ერთ-ერთი კუთხე მართი. ზოგიერთი ალგებრული გარჯოების დროს მოსწავლეებმა დაფაზე დაუშვეს შეცდომები, რომლებიც მხედველობიდან გამოეპარა მასწავლებელს. ძალზე დაბალ დონეზე ატარებენ მათემატიკის გაკვეთილებს ამავე სკოლის მასწავლებლებიც დ. ვეკუა და ე. საჯარა. VII კლასში ვ. საჯარამ გეომეტრიის გაკვეთილი სრულიად შეუფერხებელი მეოთხედით ჩაატარა. იგი სვამი კითხვებს, მაკრამ არ აცდიდა მოსწავლეებს და თვითონვე ცდილოდა პასუხის გაცემას, ამასთან, მთელი ყურადღება გამოქასებულ მოსწავლეებზე იყო გადატანილი. მასალის ახსნის შემდეგ მოიწოდომა მოსწავლეების გავარჯიშება ამოცანების ამოსხნაზე, მაგრამ ყველა მოქმედება მ.ნეკ შეისრულა, ისე რომ მოსწავლეებს არავითარე მონაწილეობა არ მიუღიათ ამოცანების ამოსხნაში (ვ. საჯარასა და დ. ვეკუას ამოსხილი ამოცანები გაკვეთილის გეგმაში ჰქონდათ ჩაწერილი და დაფაზე იქიდან იშერდნენ). მოსწავლეებმა სუსტად იციან განვლილი მასალაც წარმოდგენა არა აქვთ, თუ რას ეწოდება პარალელოგრამი, როგორია მისი თვისებები. ვერ ხსნაან ელემენტარულ ამოცანებს. („პარალელოგრამის ორი კუთხე ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 3:2, ვიპოვოთ თითოეული ჟაფანი“), არ იციან რიცხვის პროპორციულ ნაწილებად დაყოფა და სხვა. თითქმის ანალოგიური სურათი შეინიშნებოდა VII² კლასში დ. ვეკუას მიერ გ დაცემულ გაკვეთილზე.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

საგნისა და მისი სწავლების მეთოდების აბსოლუტური შემცირებული დინარობა გამოავლინ. ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის შას-წავლებელმა ნ. ალანიაშ ძალზე დაბალ დონეზე ჩაატარა მან VII კლასში გეომეტრიის გაკვეთილი. მასწავლებელმა ახსნის დროს ერთმანეთში აურია რიცხვის კვადრატში ახარისხება და კვადრატული ფესვის ამოღება. ადგილი ჰქონდა კურიოზულ შემთხვევას, როდესაც მასწავლებელმა ვერ შეძლო კვადრატული ფესვის ამოღება რიცხვებიდან 256 და 78,6 და დიდი წვალების შემდეგ „დაადგინა, რომ $78,6 = 28^2$.

არადამაკამაყოფილებელი შედევი მოგვცა ლედარსალეს რვა-წლიანი სკოლის V კლასში (მასწავლებელი ქ. თოლუ) ჩატარებულმა საკონტროლო წერამ. 15 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა მოსწავლემ დაიმსახურა დამაკმაყოფილებელი შეფასება.

შემოწმებულ სკოლებში, ამეტეს შემთხვევაში, ძალზე დაბალია საკონტროლო წერების ხარისხი. სათანადო ყურადღება არ ექცევა იგრუოვე მოსწავლეთა საშინაო და საკლასო რვეულების წარმოებას. მოსწავლები შეჩვეულები არ არიან დამოუკიდებილ მუშაობას, რვეულები ძალზე უხარისხოდაა ნაწარმოები და ხშირად ერთმანეთის ასლს წარმოადგენენ, მასწავლებლებიც იშვიათად ამოწმებენ მათ და სხვა. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ლესიჭინეს საშუალო სკოლის IV, VI კლასებში (მასწავლებლები თ. ჯანჯღავა და ლ. ქარჩავა), ახუთის საშუალო სკოლის IV კლასში (მასწ. ე. გარამია) ახუთის საშუალო სკოლის IV, V, VII, X კლასების მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებში დიდი რაოდენობითაა გაუსწორებელი შეცდომები. მაგალითად, X კლასში (მასწავლებელი პ. კვარაცხელია) 20 ოქტომბერს გეომეტრიაში ჩატარებულ საკონტროლო წერაში მოსწავლეებს მ. ხარებავას, გ. ნაროუშვილს, ნ. დებურიას დაშვებული აქვთ უხეში შეცდომები, რომელიც მასწავლებელს ვერ შეუნიშნავს და ნაცვლად შეფასება „2"-ისა „ოთხები“ დაუწერა. ანალოგიური მდგომარეობაა V კლასში (მასწავლებელი ვ. გაბედავა).

სკოლებში შექმნილია მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებები, მაგრამ მათი მუშაობა ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ლესიჭინეს I საშუალო სკოლაში, სადაც მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას ი. გოგინავა ხელმძღვანელობს. მეთოდგაერთიანებას აქვს კარგად შედგენილი გეგმა, დამუშავებული თემებიც საფუძვლია-

ნია და სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ახალი პროგრამაზე
მებით მათემატიკის სწავლების მნიშვნელოვან პრობლემებს.

ჩხოროწყუს რაონის სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგრ-
მარების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მთელ რიგ სკოლებში ეს სა-
განი დაბალ დონეზე ისწავლება. უმეტეს შემთხვევაში ფიზიკის
მასწავლებლებად არასპეციალისტები ან ფიზიკა-მათემატიკის ფა-
კულტეტის დაუსწრებელი განყოფილებების კურსდამთავრებულები
მუშაობენ, რომელთაც არ გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა და მით-
უმეტეს ახლა, როდესაც ფიზიკა ახალი პროგრამებით და სახელ-
მძღვანელოებით ისწავლება, ძალზე უყირთ ამ საგნის სწავლება.
ახალი მასალის ახსნებას ეს მასწავლებლები ფაქტიურად სახელ-
მძღვანელოში არსებული მასალის მოკლე შინაარსის გადმოცემით
კმაყოფილდებიან, რის გამო მოსწავლეთათვის გაურკვეველი რჩება
მრავალი ფაქტი და ფიზიკური მოვლენა. ამიტომ მოსწავლეთა
დიდი ნაწილი უინტერესოდ ეკიდება ამ საგნას შესწავლის საქმეს.

ჩხოროწყუს რაონის შემოწმებულ სკოლებში, გარდა მცხუ-
რის საშუალო სკოლისა, ფიზიკა არადამაკმაყოფილებლად ისწავ-
ლება. მცხურის საშუალო სკოლაში, სადაც ფიზიკას ნ. გახარია
ასწავლის, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. მასწავლებლის
თეორიული მოაზადების დონე დამაკმაყოფილებელია. იგი საგნის
სწავლებას მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავ-
ლეთა ნაწილი ამჟღავნებს თეორიული მასალის კარგ ცოდნას და
მას მოხერხებულად იყენებს ამოცანების ამოხსნისას. მაგრამ მას-
წავლებლის მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზებიც; ის
ნაკლებად იყენებს საღემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორი-
ული სამუშაოების დროს ფიზიკის კაბინეტში არსებულ ხელსაწყო-
იარაღებსა და ტექნიკურ საშუალებებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია ფიზიკის სწავლებაში ლესიჭინეს
საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები ჯ. ვე-
კუა და ნ. ალანია). VIII კლ. მოსწავლეებმა (მასწ. ჯ. ვეკუა) არ
იცოდნენ დრეკადობის ძალა, აჩქარება, ნიუტონის II კანონი, ამ-
წევი ძალა. ერთმანეთში ურევენ წონასა და კუთრ წონას. VI კლა-
სის მოსწავლეებმა (მასწ. ნ. ალანია) არ იცოდნენ სიმკვრივე და
სიმკვრივის ერთეულები, არათანაბარი მოძრაობის განმარტება,
მასწავლებელი ნ. ალანია ახალი მასალის — „ნივთიერების მოცუ-
ლობითა და სიმკვრივით მასის განსაზღვრა“ ახსნისას ერთმანეთში
ურევდა მასის მოცულობისა და სიმკვრივის ცნებებსა და ერთეუ-
50

ლებს. IX კლასის (მასწ. ჯ. ვეკუა) არცერთმა მოსწავლემ არცერთმა გამოსაკითხი მასალა: „წნევა სითხის გამრუდებული ზედაპირის ქვეშ“. გამოკითხვისას მასწავლებელი სისტემატურად ეხმარებოდა. მოსწავლებს, მაგრამ თვითონაც უშევებდი უხეშ შეცდომებს („სფერული მოცულობის ზეტაპირის ფართობი“, „ტოლქმედი მიმართულია იმრუდის რადიუსის შიგნით“, „სხეულის დაჭიმულობის კოეფიციენტი“ და სხვა).

არადამიაკურაულოფილებლად ისწავლება ფიზიკა ჩხოროწყუს I საშუალო (მასწ. ა. ჩალიგავა და თ. ჯანაშია) და ლედარსალეს 8-წლიან სკოლებში (მასწავლებელი ნ. ლაგვილავა). ჩხოროწყუს I საშ. სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ მარცხენა ხელის წესი, ძალთა წყვილის განმარტება, ამპერის ძალის ფორმულა, მაგნიტური ველის ინდუქცია. ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა დაუშვა უხეში შეცდომები: „სივრცეში ავიღოთ ფართობი“, „ვექტორი ეწოდება ისეთ მიმართულებას“... და სხვა. ამავე სკოლის VI კლასის იოსწავლები (მასწ. თ. ჯანაშია) ვერ ანსხვავებენ მასისა და წონის ერთეულებს (გ, გ-ძალა), ზამბარასა და დინამომეტრს. ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელმა ძალა ასე განმარტა: „ძალა არის სიდიდე, რომელიც საშუალებას ვვაძლევს არა მარტო სიდიდე, არამედ ისეთი, რომ უნდა ვიცოდეთ მიმართულება. ასეთ სიდიდეს ეწოდება ვექტორი“ (სტილი დაცულია). ლედარსალეს 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ნ. ლაგვილავა ვერ ახერხებს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებასა და სწავლებაში აქტიურობის პრინციპის დანერგვას. მხედველობიდან რჩება მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები და არ აანალიზებს მათ, არ ახდენს განვლილი მასალის გამეორებას, რის გამოც მოსწავლებს დავიწყებული აქვთ აღრე შესწავლილი მასალა. VIII კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს დრეკადობის კოეფიციენტი, ვერ შეძლეს სწორად ჩაეწერათ თანაბრად აჩქარებული წრფივი მოძრაობისას სხეულის კოორდინატი დროის t მომენტში და სხვა.

განსაკუთრებით შეუწყნარებელი მდგომარეობაა ლესიჭინის I საშუალო სკოლაში (მასწ. ალ. სიჭინავა). მის მიერ ჩატარებული გავეთილი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მასწავლებელი ვერ ფლობს საგანსა და საგნის სწავლების მეთოდებს. იმ კლასების მოსწავლეები, სადაც ა. სიჭინავა ასწავლის, ამჟღვნებენ ფიზიკის პროგრამული მასალის ძალიან სუსტ ცოდნას, არ იციან ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი მაგნიტური ველები, მაგნი-



ტური ველის ძალწირები, განსხვავება გამტარებსა და ნაშინაობის გამტარებს შორის, ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი, ზედაპირული დაჭიმულობის ძალა, კაპილარული მოვლენები და სხვა. X კლასში ახალ მასალის ახსნისას მასწავლებელმა დაუშვა რამოდენიმე უხეში შეცდომა: „ელექტრონული ელექტრონი“, „ფართობზე აღმართული ნორმალი“, „მაგნიტური ინდუქციის ვექტორს აქვს ძალწირის მიმართულება“.

შემოწმებული სკოლის მოსწავლეთა საკლაო-საშინაო რვეულები უსუფთაოდ არის ნაწარმოები, საკონტროლო წერისათვის შერჩეული ამოცანები ძალზე ძლიერია და არც წერის ნორმებია დაცული. საშინაო დავალების შემოწმება ზერჩევები სდება, ხოლო საკონტროლო ნამუშევრების შეფასება ძალზე არაობიექტურად.

აღნიშნული ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზია მასწავლებელთა გულგრილი და უპასუხისმგებლო დანორდებულება თავიანთი მოვალეობისადმი. ეს პედაგოგები ჯეროვნად არ ზრუნავენ საქუთარი თეორიული ცოდნის გაღრმავებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის. არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ სამუშაოებსა და პრაქტიკულებს, არ ივარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამონსნაზე და ა. შ.

ფიზიკის კაბინეტები დარიბითა ხელსაწყო-იარაღებითა და ტექნიკური საშუალებებით. ბევრი ხელსაწყო მოვლელობით დაზიანებულია და ხმარებიდანაა გამოსული, თუმცა არსებული ხელსაწყო-იარაღებიც ნაკლებად არის გამოყენებული; მასწავლებლები კიდევ არასაკმარ რაოდენობით ატარებენ პროგრამებით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს. სწავლებაში დანერგილი არ არის ტექნიკური საშუალებები; კინოპროექტორები უმეტესწილად გამოუყენებელია, მიუხედავად, იმისა, რომ რაიონში არის მდიდარი ფილმოთვეკა. მაგალითად, ახუთის საშუალო სკოლას ორი კინოპროექტორი „უკრაინა“ და „შკოლნიკი“ აქვს. პირველი სამხედრო კაბინეტშია დამონტაჟებული, ხოლო მეორე გაუხსნელი და შეფუთული დევს ფიზიკის კაბინეტში.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია ლესიჭინეს 1-ლ საშ. სკოლაში, სადაც საგანს დამაკმაყოფილებლად ასწავლის მასწავლებელი გ. სახურაი. იგი გულმოდგინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, იყენებს დამატებით მეთოდურ და მეცნიერულ ლიტერატურას, ატარებს სადემონსტრაციო ცდებსა და პრაქტიკულ

სამუშაოებს, მან მეთოდურად სწორად წარმართა გაკვეთილება¹ VII, IX და X კლასებში, მაქსიმალურად ჩააბა მუშაობაში მოხსენებულები, ჩატარა აღზრდელობითი და ათეისტური ხასიათის საუბრები. VII² და X³ კლასების მოსწავლეებმა დამაქმაყოფილებლად იცოდნენ გაკვეთილი და განვლილი მასალა. ახალი მისალა — „დაშლისა და შეერთების რეაქციები“ (VII კლასი) და „ნახშირწყალბადების ბუნებრივი წყაროები“ (X კლასი) მასწავლებელმა ორივე კლასში დამაჯერებლად ახსნა.

მაგრამ რიგ სკოლებში ქიმიის სწავლება მნიშვნელოვანი ნაკლოვ ნებებით ხასიათდება. მასწავლებელთა ერთმა-ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გარეაქტიურა მუშაობა ახალი პროგრამების მოთხოვნათა შესაბიძისად, ისინი გაკვეთილებს ატარებენ დაბალ დონეზე, ნაკლებად იყენებენ სწავლებაში ქიმიურ ექსპერიმენტს. განსაკუთრებით უჭირთ იმ საკითხების სწავლება, რომლებიც ახალი პროგრამების სიახლეა.

განსაკუთრებით დაბალ დონეზე ისწავლება საგანი მუხურის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ი. გახარია სათანადო არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ მუშაობს თავის თავზე, არ ატარებს საკუმონისტრაციო ცდებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს. ამის გამო, მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. VIII კლასში მასწავლებელს უჩა აეხსნა „ელექტრონების მოძრაობა ატომში“. მასწავლებელმა არ გაითვალისწინო საკითხის სირთულე და მნიშვნელობა და არ მოემხადა გაკვეთილებისათვის. მას მცდარი წარმოდგენა აქვს ატომში ელექტრონის მოძრაობაზე და ასევე მცდარად მიაწოდა ცნობები მასწავლებს („ქიმიური რეაქციების დროს ელექტრონები განიცდიან ცვლილებას რაოდენობრივად“, „გუშვილებელ ელექტრონებს P ელექტრონები ეწოდება“, „ლითოუმში გვაქვს წრიული თორმეს ელექტრონები“, „ნეონში გვაქვს სფერული ორი ელექტრონი და კადევ გვაქვს სიმი ელექტრონი, რომლებიც მიმიცვლებიან“ და სხვა) მასწავლებლებთან საუბარში გამოიჩინა, რომ მას მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს S და P ელექტრონული ღრუბლების ფორმაზე. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსწავლეებმა ვერაფერი უპასუხეს.

მეტად ზერელ წარმოდგენა აქვთ X კლასების მოსწავლეებს ჟეთილენის, აცეტილენის, ბენზოლის აღნაგობასა და ქიმიურ თვასებებზე, ბუნებაზე ნაჯერ ნახშირწყალბადებში ისინი სუსტად



ფლობენ სხვადასხვა. პომოლოგიური რიგის ნახშირწყალბატუმის
ნომერი კლატურას, ამ კლასში მიმდინარე სასწავლო წელს არ ჩატვა-
რებულა არც ერთი სადემონსტრაციო ცდა.

დაბალია IX² კლასის მოსწავლეთა ცოდნა. მათ უჭირთ ნივ-
თიერებათა ფორმულების დაწერა, არ აქვთ პერიოდული სისტემე-
ბით სარგებლობის ჩვევები. ისინი ვერ ანსხვავებენ ელემენტების
აქტიურობას მათი ლითონური და არალითონური თვასებებისაგან.
სუსტად იციან ელექტროლიზი და ელექტროლატური დისოცია-
ცია. ამ კლასში ახალი მასალა — „აზოტის ურთიერთობების წყალ-
ბადთან“ მასწავლებელმა ვერ დაიყვანა მოსწავლეებამ უ.

მეტად დაბალია ახუთის საშუალო სკოლის მე 9 კლასელთა
ცოდნა. ქიმიის მასწავლებელმა ვ. საჯაიამ იცის საკანი, მაგრამ
ვერ ფლობს გაკვეთილის ჩატარების თანამედროვე მეთოდებსა და
ხერხებს, რის გამოც სათანადო ცოდნას ვრ აძლევს მოსწავლეებს.
მან გაკვეთილი გამოკითხა IX² კლასიდან ორ მოსწავლეს, IX¹
კლასიდან კი მხოლოდ ერთ მოსწავლეს. და ნარჩენი მოსწავლეები-
სათვის მთელი 45 წელის განმავლობაში ერთი კითხვაც კი არ
მიუცია. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მოსწავლეთა გამო-
კითხვის მეთოდი: გაკვეთილს ყველა მასწავლებელი და არა მოს-
წავლე, საუმარისია ოდნავ შეყოვნდეს მოსწავლე, მასწავლებელი
მაშინვე კარნახობს ფორმულასა და აზრებს არ ხდება მოსწავლეთა
მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზი, მოსწავლეებმა არ იციან
კოფიციენტების შერჩევა ქიმიურ განტალებებში, ვერ ადგენენ
მარილა პიღროლიზის განტალებებს, სუსტად იციან ელექტრო-
ლიზი, ელექტროლიტური დისოციაციის თეორია, უანგეულთა
პიღრატების თვისებების დამოკიდებულება იონის მუხტა და
რაღიუსზე.

ახალი მასალის — „აზოტი ბუჩქებაში, აზოტისა და მასი ნაერ-
თებას გამოყენება“ ახსნისას მასწავლებელმა ყოვლად გაუმართ-
ლებლად გადასცა უძრავი პროგრამული მასალა: ამიაკის ბაქტე-
რიოლოგიური გარდაქმნა აზოტმჟავად და ნიტრატებად, ამიაკისა
და აზოტმჟავას სინთეზი (ეს კითხვები შემდგენ ისწავლება), აზოტ-
მჟავას საშუალებით გოვირდის დაჭანვა და ამ გზით გოგირდეა-
ვას მიღება და სხვა. ამასთან, არ უცდია გაეგო, დადიოდა თუ
თუ არა მასი ნათქვამა და დაწერილი მოსწავლეებამდე. ასევე,
მოსწავლეთა მონაწილეობის გარეშე ამ ისნა გაანგარიშებით ამო-
ცანა და საშინაოდ მისცა სამი ამოცანა (!).

მოსწავლეთა დაბალი ცოდნა იმის შედევიც არის, რომ გადაჭირობული არ იყო მაგრა არ ტარდება სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდები და პრაქტიკული სამუშაოები. კაბინეტი (რომელსაც ორი ოთახი უჭირავს) არ არის შევსებული რეაქტორებით და ქიმიური ჭურჭლებით. არ ტარდება საკონტროლო წერები ქიმიაში. არ ხდება ნასწარო ფილმების დემონსტრირება.

ღესიჭინეს საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლის დამწყები მასწავლებელი მ. სიჭინავა, რომელიც ვერ ფლობს აკვეთილის ჩატარების თანამედროვე მეთოდებს, ვერ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას მოსწავლეთა მარირთ, იშვიათად იყენებს ოვალსაჩინოებას. სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის და სრულყოფილად ვერ ხსნის ახალ მასალას. მეტად ზერელედ და ბენდოვნად იქნა ახსნილი VIII კლასში „ელექტრონის მოძრაობა ატომებში (?! ამის გამო ამ სკოლის მოსწავლეებს დაბალი ცოდნა აქვთ ქიმიაში)

მსგავსი ნაკლოვანებებით სისითდება ქიმიის სწავლება ჩხორწყუს I საშუალო სკოლაში (მასწ. ვ. ვარაცხელია). მასწავლებელი ვერ ფლობს ცდების ჩატარების ტექნიკას და კლასთან მუშაობის მარინავე მეთოდებს. ამასთან, მას იკლია თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

შემაწმებულ სკოლებში ქიმიის სწავლებაში შენიშნული ხარვეზი იმათაც არის განვირობებული, რომ ხშირ შემთხვევაში გაკვეთილები ტარდება მშრალად, თვალსაჩინოების ვარეშე. მასწავლებლები მოლიანად არ იყენებენ მათ განკრვულებაში არსებულ შესაძლებლობებს, არ ზრუნავენ კაბინეტების შევებისათვის.

შემოწმებულ სკოლების უმეტესობას კარგი პირობები აქვს. ქიმიის კაბინეტებისათვის შესაფერისი ოთახებია გამოყოფილი ჩხორწყუს 1-ლ, ღესიჭინეს 1-ლ, ახუთის, მუხურის საშუალო სკოლებში. მათ საკმარასი რაოდენობით აქვთ თვალსაჩინოება, სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად. ამ მხრივ უკეთესი მდგრადულია ჩხორწყუს 1-ლ საშუალო სკოლაში. კაბინეტში (გამგე ე. შვერია) აქვთ პირველი დაბმარების საშუალებები მოსწავლეთა მოწამვლის ან დაზიანების შემთხვევისათვის, გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის წესები; რეაქტორები და ჭურჭლები მოვლილი და დაცულია, აქვთ მოსწავლეთა მეტ პლასტილინისაგან დამზადებული რჩგანულ ნივთიერებათა მოლეკულე-

ლესიშვილების საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში ოთახიც
კი არ არის გამოყოფილი ქიმიის კაბინეტისათვის. მეტად მნიშვნე-
ლოვანი რაოდენობის თვალსაჩინოება პატარა საკუჭნოში ინახება.
ა.ეთ პირობებში საგნის წარმატებით სწავლებაზე ლაპარაკიც კი
ზეღმეტია.

სკოლებში დაბალ დონეზე დგას მასწავლებელთა შორის მე-
თოდური მუშაობა. ქიმიის მასწავლებელთა სიმცირის გამო შე-
ქმნილია ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებელთა გაერთიანებული მეთო-
დური გაერთიანებები, რომლებიც ვერ პასუხობენ ქიმიის მასწავ-
ლებელთა პროფესიული ოსტატობის შემუვლი ამდღების ამო-
ცანებს.

ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ხარვეზებია რაიონის სკოლებში
კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორ-
განიზაციის საქმეში. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის
ორგანიზატორები: ვ. ჭავა (ლესიშვილის ჩა ს საბჭოთა მეურნეო-
ბის საშ. სკოლა), ს. კვარაცხელია მუხურის საშ. სკოლა), ვ. გვა-
ჯავა (ლესიშვილის საშუალო სკოლა), ე. შარტავა (ახუთის საშუალო
სკოლა), მ. ბაბალუა (ჩხოროწყუს I საშუალო სკოლა) სათანადო
დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევ კლასის ხელმძღვა-
ნელებს, მასწავლებლებს და უფროს პიონერხელმძღვანელებს სკო-
ლაში აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვის
საქმეში. სოფლად, სადაც არ არსებობს სკოლისგარეშე დაწესებუ-
ლებები, განაკუთრებული მნიშვნელობა ე იქნება ხელმძღვა-
ნელებთა ნიჭისა და მიღრეკილების სრულად დაქმაყოფილების
მიზნით სხვადასხვა სახის წრების ჩამოყალიბებასა და მათში შე-
მოქმედებითი მუშაობის გაშლას სამწუხაროდ, ექვსივე სკოლაში
არა დამაკავილი ფინანსურად მუშაობენ საგნობრივი წრეები. მოსწავ-
ლეთა ნამუშევრები უხარისხოა და უმეტეს შემთხვევაში არ არის
რეცენზირებული. საერთოდ, სკოლებში არ არის შექმნილი ტექ-
ნიკური წრეები. ორგანიზატორებს სამუშაო გეგმებში არა აქვთ
გათვალისწინებული პროფესიული საკითხები და ამ მიმარ-
თულებით არც არაფერი კეთდება. სუსტია დახმარება და კონტ-
როლი კლასის ხელმძღვანელებისადმი, არცერთ სკოლაში არ არის
წრეობრივი მუშაობის განრიგი. ამით აისწნება ის, რომ ზოგიერთი

კლასის ხელმძღვანელი ფაქტიურად არაფერს არ აკეთებს და ფორმულირება მაღლურად ეყიდება თავის მოგალეობას. მაგალითად, ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის III² კლასისა და ახუთის საშუალო სკოლის II კლასის ხელმძღვანელები გ. ზარანლია და გ. უვანია არავითარ აღმზრდელობით მუშაობას არ აწარმოებენ ოქტომბრელებთან. შეცდომებითაა სავსე ჩხოროწყუს I საშ. სკოლის კლასის ხელმძღვანელთა გეგმები და სხვა.

გარკვეული წა~მატებები აქვთ მოპოვებული მუშაობაში ახუთის (უფროსი პიონერხელმძღვანელი გ. სიჭინავა), ჩხოროწყუს I (ნ. გურჩიანი), მუხურის (გ. პაპავა) საშუალო და რაწლიანი (ს. დარსალია) სკოლების უფროს პიონერხელმძღვანელებს. მათ სათანადო მუშაობა აქვთ ჩატარებული პიონერული მარშის „მზადვარ“ განსახორციელებლად, მაგრამ პიონერული მარშის ყველა მარშრუტი ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი თითოეულ პიონერამდე. გადახალისებას და სათანადო ესთეტიკურ გაფორმებას საჭიროებენ ამ სკოლების პიონერთა ოთახები. ჩხოროწყუს I საშ. სკოლის პიონერთა ოთახი ნესტიან სარდაფშია მოთავსებული.

ლესიჭინეს I საშუალო სკოლის (უფროსი პიონერხელმძღვანელი ი. არაბამია) რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე წარმოდგენა არა აქვს პიონერულ მუშაობაზე, იშვიათად ტარდება რაზმეულის საბჭოს სხდომები. რაზმეულისა და რაზმების გეგმები უხარისხოდაა შედგნილი. პიონერები არ იცნობენ ზიონერული მარშის მარშრუტებს. ასეთივე მდგომარეობაა ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის სკოლაში (უფროსი პიონერხელმძღვანელი ვ. სიჭინავა). აქ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პიონერთა აკადემიური მოსწრების მხრივ. I მეოთხედში - 161 პიონერიდან ვერ ასწრებდა — 46.

აღნიშნული სკოლების ორგანიზატორები და ღირეულის წარმომადგენლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პიონერულ მუშაობას. იშვიათად იხილავენ მათ მუშაობას პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, კრებებზე და ა. შ.

კომკავშირული მუშაობა შედარებით დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ჩხოროწყუს I, ახუთისა და ლესიჭინეს I საშ. სკოლებში. კომკავშირის კომიტეტებსა და მათ სექტორებს აქვთ სამუშაო გეგმები. დავალებები განაწილებულია კომკავშირელებზე და კრებებიც რეგულარულად ტარდება. ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში კომკავშირული კრება 15 სექ-

ტემბრის მერე აღარ მოუწვევიათ, არც კომიტეტის სხდომების განვითარების
მები აღმოჩნდა ადგილზე. მუხურის საშუალო სკოლაში კომკავში-
რის კომიტეტის მიმართ გადამეტებულ მეურვეობას იჩენენ დირექ-
ციის წარმომადგენლები.

ჩხოროწყუს რაიონის სკოლებში კომკავშირული და პიონე-
რული მუშაობის ძირითად ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ
ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ემცევა მოსწავლეთა ინი-
ციატივისა და ოვითშემოქმედების განვითარებას, პიონერულ და
კომკავშირულ საქმიანობაში მემკვიდრეობითობის, სასახლო ტრა-
დიციების დამკვიდრებისა და მისი გამრავლფეროვნების საქმეს.

ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. სიჭი-
ნავა—ისტორიკოსი, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის
დარგში ვ. სიჭინავა—რუსული ენისა და ლიტერატურის სპეცია-
ლისტი), მუხერის (დირექტორი ქ. ჩიქოვანი—ისტორიკოსი, დი-
რექტორის მოადგილე ბ. ჩიქოვანი—ლიტერატორი), ლესიჭინეს I
(დირექტორი ბ. ხორავა—ისტორიკოსი, დირექტორის მოადგილე
დ. ქობალია—ლიტერატორი), ახუთის (დირექტორი ა. ვეკუა—
ლიტერატორი, დირექტორის მოადგილე გ. ძიმისტარაშვილი—
ბიოლოგი), ჩხოროწყუს I (დირექტორი ი. ახალაია—ლიტერატო-
რი, დირექტორის მოადგილე მ. მალანია—ისტორიკოსი) საშუალო
და ლედარსალეს (დირექტორი—ნ. გოგუა—ისტორიკოსი, დირექ-
ტორის მოადგილე ნიკ. დარსალია ისტორიკოსი) რვაწლიანი სკო-
ლების წლიური სამუშაო გეგმები ძირითადად დამაკმაყოფილებლად
არის შედგენილი, მათში შეტანილია სასწავლო-აღმზრდელობითი
მუშაობის უმნიშვნელოვანების საკითხები. მაგრამ ზოგიერთი სკო-
ლის სამუშაო გეგმა უწიგნურად არის შედგენილი, მაგალითად,
ახუთის საშუალო სკოლის სამუშაო გეგმის მიმოხილვით ნაწილში
კვითხულობთ: „ამასთან დაძლეულია ბუნების სტიქიით მიღებული
ზარალის აღდგენა, როგორიცაა სკოლის სახურავი ქარის მიერ
მოხსნილი“, „ახალი სახელმძღვანელოები, განრიგით მოცემული
მიღებული და მოსწავლებზე განაწილებულია“ და ა. შ. ამასთან,
გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები (როგორიცაა
—ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენება, მეტოდური მუ-
შაობისადმი კონტროლის დაწესება, დირექციის მიერ საკონტროლო
წერების ჩატარება, აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან
მოსწავლეებზე დირექციის სისტემატური კონტროლის დაწესება და
სხვა) თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლაში შეუსრულებელია.

სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საკითხები მი-
რითადად დამაკმაყოფილებლადაა განხილული. იგი მოიცავს I
მეოთხედის მანძილზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საკ-
მაოდ საფუძვლიან ანალიზს, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში ვაწყდებით
შეუსაბამობას პედაგოგიური საბჭოს ოქმში აღნიშნულსა და სი-
ნამდვილეს შორის, ლედარსალეს რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური
საბჭოს ოქმში ვკითხულობთ: „დამაკმაყოფილებლად ისწავლება მა-
თემატიკა III კლასში (მასწ. ა. ფირცხალავა), მოსწავლეები და-
მაკმაყოფილებლად ხსნიან ამოცანებსა და მაგალითებს, მსჯელობენ
გამართულად, იძლევიან „შეკნებულ პასუხებს, კლასი პროგრამულ
მასალას ფლობს დამაკმაყოფილებლად“. ჩვენს მიერ ამავე კლასში
ჩატარებულ საკონტროლო წერაში კი 20 მოსწავლიდან—16-მა „2“
დაიმსახურა. ვფიქრობთ, აქ კომენტარებიც ზედმეტია. ჩხორიშვილი
I საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1972 წლის 16 ოქტომბ-
რის ოქმში (№ 2) აუნშნულია, რომ „ფიზიკის მასწავლებლები
მონდომებით ეკიდებიან მინდობილ საქმეს. მათ მიერ ჩატარებული
გაკვეთილების ანალიზიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა დიდი
ნაწილი დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს. ნაკლოვანებები
მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ კიდევ მოსწავლეთა დიდი ნაწილი
შეგნებულად ვერ ფლობს კანონებსა და ფორმულებს. მათ უჭირთ
ამოცანებისა და მაგალითების დამოუკიდებლად ამოხსნა. მასწავ-
ლებლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაჰვიონ თვალსაჩინოების გა-
მოყენებას და მაგალითებზე მუშაობას“. სწორედ ამაზე იტყვიან,
„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. სამწუხაროდ, როგორც ეს
შემოწმებითაც დადგინდა, პედაგოგიური საბჭოს შეფასების მეორე
ნაწილი ზუსტად ასახავს სინამდვილეს. ასეთი არალოგიური, წი-
ნააღმდეგობრივი მსჯელობის ფაქტებს სხვა სკოლების პედაგოგი-
ური საბჭოს სხდომათა ოქმებიც ვაწყდებით.

რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის
მართვის არსებული მეთოდები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს
პედაგოგიური კოლექტივების მუშაობისადმი ყოველდღიური ხელ-
მძღვანელობისა და კონტროლის შესაძლებლობას. სკოლის დირექ-
ტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები
მთელი სისრულითა და სიღრმით ვერ ახერხებენ თვალყურის დევ-
ნებას სწავლების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი
მუშაობის ბევრი მხარისადმი. ვფიქრობთ, სწორედ ამით აისხება,
რომ მათ კონტროლის გარეშე რჩებათ საკითხების მნიშვნე-

ლოვანი რაოდენობა; სათანადო ყურადღება არ ექცევა აკადემიურ რად ჩამორჩენილ და მოსწავლების მოსწავლების მუშაობას. როგორც შემოწმებით დადგინდა, ეს საქმე მთლიანად კლასის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს აქვთ მინდობილი, ხოლო სკოლის ხელმძღვანელებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რა მდგომარეობაა სასკოლო მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე. მაგალითად, ახუთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლები ჯალაონია და გ. ჯიჯელავა I მეოთხედში არცერთხელ არ ყოფილან გამოძახებული ალგებრასა და გეომეტრიაში, მეოთხედურ ნიშნებად კი არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ. ასევე არასწორად არის შეფასებული ჩხოროწყუს I საშ. სკოლის VI კლასის მეოთხეწლიანი მოსწავლები რ. გაბელია და ვ. უბირია I მეოთხედში. მუხურის საშ. სკოლის V კლასის მოსწავლე თ. საჯაიას არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს მათემატიკასა და ისტორიაში, მაშინ, როდესაც ის ისტორიაში არცერთხელ არ გამოუკითხავს მასწ. თ. ცირამუას.

ჯერ კიდევ დღიდია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები. I მეოთხედის მონაცემებით რაონის სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაცდენილი იყო 30.662 სთ., აქედან არასაპატიო მიზეზით — 5.780. როგორც ჩანს, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის ყოველი კონკრეტული ფაქტი ჯერ კიდევ არ ხდება პედაგოგიური კოლექტივებისა და მშობელთა სერიოზული მსჯელობის საგნად. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას, რომ შემოწმების დღისათვის ახუთის საშუალო სკოლის IX კლასებში 20 მოსწავლიდან არ გამოცხადდა 8 მოსწავლე. X¹ კლასში — 20-დან — 6, X² კლასში — 19-დან — 4, ჩხოროწყუს I საშუალო სკოლის X³ კლასში 23-დან — 2 და ა. შ. მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისას კლასის ხელმძღვანელთა და მშობელთა არადროული რეაგირება ზელსაყრელ პირობებს ქმნის არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომლის სამწუხარო მაგალითი, როგორც ეს ზემოთ აღნიშნა, რაონის სკოლებში უკვე იყო.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის წარმატებით განხორციელება და არასრულწლოვანთა უზედამხედველობის თავიდან აცილება სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული, განსაკუთრებით სოფლის რაიონების სკო-

լլցի, գաեանցրմանուզեթուլո գլուխ չշնորհեծ յարց մշառեածից
մաշրամ հետրոնցուս հաօտնու կյուղեծու եղամմանուզեթուլո մաժականուաց
մառնաս առ օվազը չերտան պարագանեթուլու գաեանցրմանուզեթուլո մաժականուաց
գլուխ չշնորհեած յայտուրագ սթացլու գարուցու գաշրջե-
լու բարմագան հա կյուղու գորուցու գաշրջե-լու մատու-
մառագուղուցու պարագանեթուլու, գաեանցրմանուզեթուլո գլուխ
չշնորհեած ար մերգացլու ահ գասինու սամշառ ցացմեծու, հաց մտա-
զարնա, ուսնու նայլու թրցնաց ծավացեծ յավացեծ յարունա-դասցենցեծից
դա քայլ եւ մաշալու հետրոնցուս հաօտնու մշեսրու, տեսուու
դա լուսունցու և սամշառ կյուղեծի ծավացեծ յամցեմու առ օ-
ցնեն մենուս, առ ամեացեծ ցեղ սագուցեծ, մաստան յրտագ,
ձրուցու ապու պարագանեթուլու (սակյուղ ծավացեծի յա-
սացուագ վայրուց յաներաց պարագանեթուլու, մշրացեծու, մոյուղու գունցու-
ծու, ռուցուծու դա սեցա ցուրագուցեթուլո յարուցու յա-
ցեթուլու)։

մաստան յ' տագ, գաեանցրմանուզեթուլո գլուխ չշնորհու մշեսրու
առ արու լայում լուցեթուլու լուցուլու յատցալու մաթունց նոր-
մու մունց զուու. նացուագ 30 մուսթացլուս, չշնորհու եմուրագ 20—25
մուսթացլու. այսու մոցումարյուն ուս մաշալու մշեսրու սա-
մշառ կյուղածու, սագու հեցնու հարյուս մայմուց յրտու յաեանցր-
մանուզեթուլո գլուխ չշնորհու.

կյուղու գորուցու մատ մոագուղուցու սասթացլո մշ-
մառնու սարցան սակմառ հաօտցենու այտ մումենու մասթացլու-
ծելու գագց ուցեծու դա վայմանուրայուլո ույունու սացնեծու մատ
մոյր մուսթինու գագցուուց անալու մամայուցու լամակմայուցու լուագ
մասթուց սատցալու, մաշրամ հոռու սայմ յեցեծ սեծունց մաթու-
ցու սացնեծու, մոցումարյուն հագույալուրագ ուցուցեծու. մարուտագագ
չիմուան մենու մունց յեցեծու յամու, մատ առ մայմուցու յանարու սաց-
սկլուսան զաան ունու ամ ույունու սացնեծու սթացլու ունու, ունու մա-
հաթցուն. ցոյցան մատցմարյուս, ունու յունու ան յունու մասթացլու-
տա մշմառնու աց-յարց, մուսցեն մատ սապուրտ ույունու ունու ունու
մշտուց սասաւու հիյցա-դարուցեծ. ցոյցի յուրա նայունու ունու մաթունց
ամուտաց ասեսենց ուս պարագանեթուլու, հոմելսաց կյուղու եղու-
մանուզեծու ունու մասթացլու յետու մշտուց ունու սամու.

արագան մենու յանու արու յամունենու յագուլու ույունու ունու
մշտուց սասաւու հիյցա-դարուցեծ. ցոյցի յուրա նայունու ունու մաթունց
սամունց կյուղածու IX յունու յանու ասեսենց ուս պարագանեթուլու սամու.

კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური კურსის შემსწერა
ლელი ჯგუფი, რომელსაც ამ საქმის კარგი მცოდნე იურისტთა
ტ. ლემონჯავა ხელმძღვანელობს, თუმცა მას ბავშვებთან მუშაობის
არავითარი გამოცდილება არ გააჩნია და როგორც ჩანს, ამ საქმეში
სათანადო დახმარებას არ უწევს ამ სკოლის პედაგოგიური
კოლექტივი.

៩ ០ ៦ ១ ១ ៦ ៦ ០

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამშართველოს მოხსენებით ბაზითი სპეციალური რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შესახებ
 2. ბრძნება № 60—ჩსორწყუს რაიონს განათლების განყოფილებისა და იმპერიალისტური მოვიკერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი გ. ქუჩიკიძე

ვასი 14 პაპ.

ხელმოწერილია დასაბუძად 30/V-73 წ. ანაწყობის ზომა $6\times 9,5$,
ქაღალდის ზომა 60×84 , სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკვ. № 298

უკ—05562

ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარმოლიგრაფმრეწველობის
სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19